პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 21 თებერვალი, 1948 წ. № 37 (8081). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ტრესტის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წერილი საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს (1-ლი გვერდი).
საბჭოთა არმიის XXX წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVII წლისთავის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
ტ. თოდრაძე — შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვე (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია (მე-2 გვერდი).
ლ. ქიაჩელი — ჯოტოს მამა (მე-3 გვერდი).
მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა ტოკიოს პროცესზე (მე-3 და მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა

საქართველოს კოლმეურნეობები შეუდგნენ 1948 წლის საწარმოო გეგმის შედგენას. საწარმოო გეგმა განსაზღვრავს კოლმეურნეობის ადგილს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. გეგმის შედგენა სერიოზულ, დაკვირვებულ მუშაობას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა კარგად გავითვალისწინოთ თვითეული კოლმეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი, შრომითი რესურსები, განსახორციელებელ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

საწარმოო გეგმა მარტო ციფრების ჩამოთვლა როდია. ის საბრძოლო პროგრამაა თვითეული კოლმეურნეობისათვის. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გეგმის შედგენაში კოლმეურნეობებს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ.

საწარმოო გეგმის შედგენისას საჭიროა გავითვალისწინოთ ნათესი ფართობისა და მრავალწლიანი ნარგავების ზრდა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგება თესლბრუნვის მინდვრებში, სათესლე მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესება, საკვები ბალახების თესვის გაფართოების აუცილებლობა, მზრალად და საანეულოდ ხვნის დროულად ჩატარება, სამელიორაციო სამუშაოთა გაფართოება. გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაზუსტებას.

მეცხოველეობის განვითარების დაჩქარება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. გეგმაში აუცილებელია ავსახოთ პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად მისი პროდუქტიულობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი და განსაკუთრებით გავამახვილოთ ყურადღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბერწიანობასთან ბრძოლა, საქონლის მოვლის გადაჭრით გაუმჯობესება, საკვები ბაზის გაფართოება და სხვ.

გეგმის შედგენის სამუშაოები საჭიროა დავუკავშიროთ საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებისა და ჩატარების საკითხს, რათა თვითეული დაგეგმილი დასათესი ჰექტარი უზრუნველვყოთ მაღალხარისხოვანი თესლით და კარგი მოვლა-დამუშავებით. დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ, რა სამუშაოს და რა რაოდენობით შეუსრულებს კოლმეურნეობას მტს-ი, რა სამუშაოები უნდა შეასრულოს საკუთარი ძალებით თვით კოლმეურნეობამ. მტსსა და კოლმეურნეობას შორის დადებული ხელშეკრულების განუხრელად შესრულება გეგმიანი მუშაობის აუცილებელი პირობაა.

საკოლმეურნეო დაგეგმვის მნიშვნელოვანი ნაწილია საარტელო მეურნეობის ყველა დარგის ფართოდ განვითარება და დამხმარე საწარმოების ორგანიზაცია.

კოლმეურნეობაში გეგმიანი მუშაობის განუყოფელი ნაწილია შრომის სწორად მოწყობა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმმა რჩევა მისცა კოლმეურნეობებს შრომადღეების უფრო მომჭირნედ და სწორად ხარჯვისათვის წლის დამდეგიდან დაგეგმონ შრომადღეების ხარჯვა ცალკე დარგებში და სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე და მკაცრი კონტროლი დააწესონ შრომადღეების დარიცხვის სისწორისადმი, შესრულებული სამუშაოს და ბრიგადებისა და რგოლებისათვის შრომადღეების დახარჯვის გეგმების შესაბამისად.

საჭიროა გადავსინჯოთ გამომუშავების ნორმები და სამუშაოთა შეფასება შრომადღეებში, რათა მივაღწიოთ შრომის უფრო მაღალ ნაყოფიერებას. გამომუშავების ნორმები სტიმულს უნდა აძლევდეს კოლმეურნეს იმუშაოს იმ დარგში, რაც ყველაზე უფრო საჭიროა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ახალი ნორმების დადგენა და მათი შეფასება შრომადღეებში კოლმეურნეთა საერთო კრების საქმეა.

საჭიროა საკოლმეურნეო ბრიგადებისა და რგოლების ამთავითვე სრულად დაკომპლექტება, ბრიგადების, რგოლებისა და მეცხოველეობის ფერმების მუშაკებისათვის წლიურ დავალებათა მიცემა.

საწარმოოს გეგმა უნდა შესდგეს აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ბრიგადირების, მერგოლურების და მოწინავე კოლმეურნეების აქტიური მონაწილეობით. გეგმა კოლმეურნეთა საერთო კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. წლიურ საწარმოო გეგმასთან ერთად აუცილებელია დიდი ყურადღებით შესდგეს კოლმეურნეობის 1948 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა სახსრების უაღრესი მომჭირნეობით ხარჯვის გათვალისწინებით.

კოლმეურნეობის სამუშაოთა დაგეგმვა მოწინავეთა მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით უნდა მოხდეს. დაგეგმვისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ არა საშუალო მაჩვენებლებით, არამედ კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანების, უკეთესად მომუშავე ბრიგადირების, მერგოლურებისა და მეცხოველეობის ფერმების გამგეების მიღწევებით.

ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის 1948 წლის საწარმოო გეგმა, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება. ეს გეგმა შედგენილია მოფიქრებულად, მოწინავეთა გამოცდილების გამოყენების საფუძველზე, ამასთან გეგმა ითვალისწინებს კოლმეურნეობის მოსავლიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ყველა ადგილობრივი საშუალების მაქსიმალურად გამოყენებას. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი საარტელო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისა და საკოლმეურნეო შრომის სწორად მოწყობისათვის.

დროულად და კარგად შევადგინოთ საწარმოო გეგმები და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები კოლმეურნეობებში, სისტემატური ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება გავუწიოთ დაგეგმვაზე მომუშავე ამხანაგებს, — ეს არის ახლა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და სამინისტროთა ორგანოების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საქმე.

„სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საწარმოო გეგმა ციფრებისა და დავალებების ჩამოთვლით ამოიწურება. ნამდვილად კი საწარმოო გეგმა არის მრავალი მილიონი ადამიანის ცოცხალი და პრაქტიკული მუშაობა“.

დიდი სტალინის ეს მითითება გვავალებს გეგმის შედგენის შემდეგ ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ მისი შესრულებისათვის, ყოველდღიურად ვუხელმძღვანელოთ გეგმის განხორციელებას, კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებასა და გაძლიერებას.

უნგრეთის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვში მყოფმა უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბ-ნმა ზოლტან ტილდიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ლაიოშ დინიეშმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ბ-ნმა მატიას რაკოშიმ და ბ-ნმა არპად საკაშიჩმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ერიკ მოლნარმა, თავდაცვის მინისტრმა ბ-ნმა პეტერ ვერეშმა, წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის თავმჯდომარემ ბ-ნმა იშტვან დობიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა 17 თებერვალს ინახულეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის კუბო. უნგრელი სტუმრები გაეცნენ კრემლის ისტორიულ ძეგლებს, დაათვალიერეს მოსკოვის მეტროპოლიტენი, ინახულეს ქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციის გამოფენა, დაათვალიერეს ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერია. სტუმრები აგრეთვე იყვნენ სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში.

სტუმრებს თან ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი და სხვები. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ბ-ნი ზოლტან ტილდი და უნგრეთის მთავრობის დელეგაციის წევრები

19 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი, უნგრეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ლაიოშ დინიეში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი ბ-ნი მატიას რაკოში და ბ-ნი არპად საკაშიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ერიკ მოლნარი, თავდაცვის მინისტრი ბ-ნი პეტერ ვერეში, წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის თავმჯდომარე ბ-ნი იშტვან დობი, პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ბ-ნი ერნე მიხაიფი, უნგრეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი დიულა სეკფიუ და სხვა ოფიციალური პირები.

სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ტრესტის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთაგან

საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

„ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ მშენებლები და მემონტაჟეები მხურვალე სალამს გიძღვნიან, ჩვენო ძვირფასო მამავ და მასწავლებელო, და სულითა და გულით გისურვებენ ჯანმრთელობას.

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის დავალებით, თქვენი მითითებით, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ამიერკავკასიაში პირველ მეტალურგიულ ქარხანას ვაშენებთ. საქართველოში შავი მეტალურგიის ქარხნის მშენებლობა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა.

ჩვენი კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეეგება ლენინის გმირი ქალაქის მშრომელთა პატრიოტულ მოწოდებას ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ. ჩვენ განვიხილეთ ლენინგრადელთა მოწოდება და „ზაპოროჟსტროის“, „კრივოროჟსტროის“, „ნიკოპოლსტროის“ კოლექტივების მიმართვა და შემდეგ ვალდებულებებს ვკისრულობთ:

1. უზრუნველვყოთ, რომ ამოქმედდეს თუჯის, ფოლადის, კოქსის საწარმოო სიმძლავრეები, რათა ფოლადის პირველი ნადნობი გამოვუშვათ 1948 წლის მეოთხე კვარტალში, ხოლო თუჯის პირველი ნადნობი — 1949 წლის მესამე კვარტალში.

2. თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი ავამუშაოთ ვადამდე, 1948 წლის მესამე კვარტალში, ბლუმინგი — 1948 წელს, მილდამამზადებელი და მილსაგლინავი დაზგები ნავთის მრეწველობისათვის მილების გამოსაშვებად—1948 წელს.

3. ავაშენოთ 1948 წელს მეტალურგებისა და მშენებლებისათვის 31 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1948-1949 წლების განმავლობაში ავაგოთ ორი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, ორი სახელოსნო სასწავლებელი, საშუალო სკოლა, კლუბი და აბანო-სამრეცხაოს კომბინატი.

4. დავამთავროთ მშენებლობა და 1948 წელს საექსპლოატაციოდ გადავცეთ მდინარე მტკვრის ხიდი, რომელიც შეაერთებს ახალი ქალაქის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებს.

5. შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციით და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 30 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, 3 პროცენტით შევამციროთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება.

6. 1948 წელს მივაღწიოთ, რომ მიწის სამუშაოთა წარმოება მექანიზებულ იქნას 65 პროცენტით, ბეტონის მომზადება — 100 პროცენტით, ბეტონის დაწყობა — 80 პროცენტით, რთულ ხსნართა მომზადება — 95 პროცენტით, საბათქაშო სამუშაოები — 40 პროცენტით, სამღებრო სამუშაოები— 50 პროცენტით, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები — 40 პროცენტით.

7. ტრესტის საწარმოო წამოწყებათა პროდუქციის გამოშვება 1949 წელს ავიყვანოთ იმ დონემდე, რაც ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1950 წლისათვის.

ვთხოვთ შავი მეტალურგიის სამინისტროს სავსებით და დროულად უზრუნველჰყოს ქარხნის ასაგები ობიექტები საპროექტო დოკუმენტაციით და ტექნოლოგიური მოწყობილობით.

მოვუწოდებთ ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს უზრუნველჰყოს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის განკუთვნილი ყველა ტვირთის შეუფერხებელი გადაზიდვა.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, მთელი ჩვენი ძალღონე და უნარი მოვახმაროთ იმას, რომ პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მძლავრ კავშირს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის საყვარელ და ბრძენ ბელადს დიდ სტალინს!

წერილი განხილული და მიღებულია სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის“ ტრესტის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრებებზე.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გამოცემულია 51 ენაზე

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებნი, საკავშირო წიგნის პალატის ცნობებით, ჩვენს ქვეყანაში გამოიცა 1.301-ჯერ 39 მილიონ ეგზემპლარზე მეტი საერთო ტირაჟით.

ყველაზე მეტად გავრცელდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წელსვე ეს წიგნი რუსულ ენაზე 26-ჯერ დაიბეჭდა. მთელი ხნის განმავლობაში, დაწყებული 1917 წლიდან, ჩვენს ქვეყანაში გამოვიდა „მანიფესტის“ 221 გამოცემა სსრ კავშირის ხალხთა 41 ენაზე და ათ უცხო ენაზე. ყველა გამოცემის საერთო ტირაჟი, არასრული ცნობებით, 6 მილიონ ეგზემპლარს აღემატება.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გადათარგმნილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა ენებზე, აგრეთვე ხუნძურ, ადიღეურ, ბაშკირულ, ბურიატულ, ქურთულ, თათრულ, უიგურულ, ჩუვაშურ, იაკუტურ და სხვა ენებზე.

მარტო რუსულ ენაზე ეს წიგნი 85-ჯერ გამოიცა. სსრ კავშირის ხალხთა ენებზე (გარდა რუსულისა) — 112-ჯერ, მათ შორის უკრაინულზე — 13-ჯერ, ქართულზე — 8-ჯერ, სომხურზე — 7-ჯერ. ექვს-ექვსჯერ წიგნი გამოიცა ბელორუსულ, უზბეკურ და ესტონურ ენებზე. (საკდესი).

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 100 წლისთავის აღსანიშნავად

პარტიის ახალციხის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა ლექციების ციკლი და ლექტორ-მომხსენებლები „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 100 წლისთავთან დაკავშირებით. რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების მიერ პარტკაბინეტში ეწყობა ლექციები თემებზე: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლის შესახებ“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის შესახებ“. ლექციებს კითხულობენ რაიკომის მდივნები და განყოფილებათა გამგეები. პარტკაბინეტში მოწყობილია სათანადო ლიტერატურისა და მასალების გამოფენა.

საწარმოებსა და კოლმეურნეობებში რაიკომის ლექტორთა ძალებით ეწყობა მოხსენებები თემაზე: „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ მნიშვნელობა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისათვის“.

• • •

გორში ფართოდ აღინიშნება მარქსისა და ენგელსის კლასიკური ნაშრომის „კომუნისტური მანიფესტის“ გამოქვეყნების ასი წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით რაიკომის პარტკაბინეტში და ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო გამოფენა.

საკონსერვო ქარხანაში, პარტკაბინეტსა და მასწავლებლის სახლში მოეწყო ლექტორ ს. ციცქიშვილის ლექცია თემაზე: „კომუნისტური მანიფესტის“ ასი წლისთავი.

გამოფენა ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში

17 თებერვალს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ლიტერატურის გამოფენა საბჭოთა არმიის 30 წლისთავისათვის.

სტენდებზეა წითელი არმიის შექმნისა და მის მიერ განვლილი სახელოვანი საბრძოლო გზისადმი მიძღვნილი წიგნები, ბროშურები, პლაკატები, გაზეთებისა და ჟურნალების სტატიები. მუშის ქვეშ მოთავსებულია ფოტოპირი სახკომსაბჭოს დეკრეტისა მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ, კ. ე. ვოროშილოვის წიგნი „სტალინი და წითელი არმიის მშენებლობა“, კრებულები რომლებიც ასახავენ საბრძოლო ოპერაციებს სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები ახასიათებენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის როლს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნასა და განმტკიცებაში. (საკდესი).

საბჭოთა არმიის XXX წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVII წლისთავის შესახვედრად

ბათუმელთა საწარმოო საჩუქრები

ბათუმის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს ორი ისტორიული თარიღისათვის — საბჭოთა არმიის ოცდამეათე წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდამეშვიდე წლისთავისათვის.

— მივცეთ ქვეყანას მეტი ნავთპროდუქტები! — ამ ლოზუნგით იბრძვიან ბათუმელი მენავთეები და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ. იანვრის საწარმოო გეგმა მათ 106,2 პროცენტით შეასრულეს, თებერვლის პირველ დეკადაში კი სამი კვირის დავალება გაანაღდეს. განსაკუთრებით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის მოწინავე ადამიანებმა თ. ცეცხლაძემ, ს. ჩანტლაძემ, ა. ძნელაძემ, ს. ვერგუნმა, მ. ნოვოჟენინმა და სხვებმა.

ფანერის ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის დასაწყისიდან 124 ათასი მანეთის ნაცვლად 137 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. საამქროებს შორის თვალსაჩინოდ დაწინაურდა საავეჯო საამქრო, რომელიც ამზადებს ტანსაცმლისა და ჭურჭლის მშვენიერ კარადებს, საწერ მაგიდებს, სასკოლო მერხებს და სხვა ავეჯს.

საგრძნობლად დაწინაურდა ბათუმის სავაჭრო ფლოტის კოლექტივი, რომელმაც გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის იანვრის საწარმოო დავალება 158,6 პროცენტით შეასრულა. ბევრი გემი შეკეთდა ვადაზე ადრე. გემი „ბელორუსია“, მაგალითად, 15 საათით ადრე შეაკეთეს და დატვირთეს, ხოლო გემი „გორნიაკი“ — 2 საათით ადრე.

ორი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ ვოროშილოვის სახელობის მომთუთიებელი ქარხნის, მიქოიანის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის და ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებიც.

კ. რუსიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კვარტალური გეგმა 40 დღეში შეასრულეს

სოხუმის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც საბჭოთა არმიის XXX წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, 10 თებერვალს 101,7 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა.

1947 წლის განმავლობაში სოხუმელმა მეკონსერვეებმა შრომის ნაყოფიერება 9,4 პროცენტით გაადიდეს, მიმდინარე წლის იანვარში კი — 17,8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების მხრივ თავი ისახელეს მოწინავე მეკონსერვეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარიამ ბასილაიამ, სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა თებრო მაისაიამ და სტახანოველმა სოფიო შალიკაშვილმა. სოხუმელმა მეკონსერვეებმა იკისრეს მარტის ბოლომდე კვარტალური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 60 ათასი ქილა კონსერვი.

ს. შონია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ჭიათურელ რკინიგზელთა მიღწევა

ახალ სამეურნეო წელს კარგად დაიწყეს მუშაობა ჭიათურელმა რკინიგზელებმა (სადგურის უფროსი მ. გეგია, პარტბიუროს მდივანი ნ. ლაბაძე). მიუხედავად იმისა, რომ იანვარში დეკემბერთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა მარგანეცის გაზიდვის გეგმა, დავალება მაინც გადაჭარბებით იქნა შესრულებული — გეგმის გადამეტებით დაიტვირთა და გაიგზავნა 54 სარკინიგზო ვაგონი მარგანეცი. ვაგონების საშუალო სადღეღამისო მოცდენა შემცირდა ოთხი საათით. აღსანიშნავია, რომ გეგმით ცვლაში საშუალოდ ჭიათურიდან უნდა წასულიყო ხუთი შემადგენლობა, ფაქტიურად იგზავნებოდა შვიდი. ამ წარმატებებს ჭიათურელი რკინიგზელები კიდევ უფრო აღრმავებენ საბჭოთა არმიის XXX წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების XXVII წლისთავისათვის მზადების დღეებში.

უწუნო, უავარიო, შეწყობილი და თავდადებული მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან სადგურის მორიგეები ე. წერეთელი, რომელმაც ახლახან მიიღო „წარჩინებული რკინიგზელის“ ნიშანი, და ზ. ხოლუაშვილი. ისინი შეუფერხებლად აგზავნიან ჭიათურიდან მარგანეცით დატვირთულ ეშელონებს.

ენერგიულად მუშაობენ: მატარებლის შემდგენლები შ. კვესიტაძე, ბ. კაპანაძე, ი. მოდებაძე და მ მოდებაძე, რომლებიც გეგმას 160 პროცენტით ასრულებენ; უფროსი მეისრეები ს. ტყემალაძე, ე. ჩაფიძე, შ. მოდებაძე; გამსინჯველები ი. ჩაფიძე და ი. კორობოვი, რომლებიც 15 წუთით ადრე ამზადებენ მატარებლებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს მემანქანეების ს. ბებიაშვილის, მ. ბაბუაძის და კ. შუღლაძის საუცხოო მუშაობა; ისინი გეგმებს 170 პროცენტით ასრულებენ და საწვავი მასალის მომჭირნეობით ხარჯვაში წარმატებას აღწევენ.

პ. ჭიოკაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბულაჩაურელ მშენებელთა წარმატებანი

ბულაჩაურის წყალსადენის მშენებელთა კოლექტივი თავდადებულად მუშაობს იმისათვის, რომ მომავალი წლის დასასრულს თბილისსა და საქართველოს მეტალურგების ქალაქს — რუსთავს უხვად მისცეს წყაროს წყალი.

იანვარში მშენებლობის ყველა უბანმა გადაჭარბებით შეასრულა მიცემული დავალებანი. პირველმა უბანმა (უბნის უფროსი ინჟინერი შ. მელიწკაური) გეგმა 115 პროცენტით შეასრულა, მეხუთე უბანმა (უბნის უფროსი ინჟინერი ბ. აბულაძე) — 110 პროცენტით და მესამე უბანმა (უბნის უფროსი ინჟინერი გ. გოჩელაშვილი) — 106 პროცენტით. იანვარში ყველას გაუსწრო მეორე უბანმა, რომელსაც ინჟინერი შ. ბერიშვილი ხელმძღვანელობს. ამ უბანმა თვიური დავალება 132 პროცენტით გაანაღდა და მშენებლობის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

ამჟამად წყალსადენის მშენებლობაზე დამთავრებულია 80 ჭის ამოღება, სიფონური კოლექტორის მოწყობა და მისი განშტოების მონტაჟი. დამთავრებულია აგრეთვე გვირაბების გაყვანა და დაბეტონება, ხოლო ახლა ამთავრებენ სამიჯნე კამერის მშენებლობას.

დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდათ ბულაჩაურელებს გვირაბების გაყვანისას. ერთ-ერთი გვირაბის გათხრა ორი მხრიდან სწარმოებდა. დადგა დრო, როცა მშენებელთა ჩრდილოეთი და სამხრეთი ჯგუფები მიწის ქვეშ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. მშენებელთა მთელი კოლექტივი მოუთმენლად ელოდა ამ მომენტს. ყველაზე უფრო ღელავდა ინჟინერ-გეოდეზისტი ს. ქეიშვილი, რომლის მიერ შედგენილი პროექტით ხდებოდა გვირაბის შეერთება. გეოდეზიურ გაანგარიშებაში დაშვებულ ოდნავ არასიზუსტესაც კი დიდი უსიამოვნების მოტანა შეეძლო. მშენებელთა ჯგუფები, მიწის ქვეშ ზუსტად დანიშნულ ადგილს შეხვდნენ ერთმანეთს.

ბულაჩაურის წყალსადენის მშენებელთა შორის მრავალი ნიჭიერი რაციონალიზატორია. მათ ამ ბოლო ხანებში 52 რაციონალიზატორული წინადადება წარადგინეს. ამ წინადადებათა განხორციელების შედეგად მშენებლობამ 1.500.000 მანეთის ეკონომია მიიღო. მშენებლობის უფროსის ამხ. მ. ანანიევის და პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ამხ. ფალავანდიშვილი) დახმარებით და მზრუნველობით რაციონალიზატორული წინადადებანი შეუფერხებლად ხორციელდება.

მშენებლობის მთელი კოლექტივი სამართლიანად ამაყობს თავისი მოწინავე ადამიანებით. ესენი არიან ინჟინრები: გ. ფალავანდიშვილი, ს. ქეიშვილი, ი. მარკაროვი, ნ. სერგეევი, შ. ბერიშვილი და ი. ცანავა, ოსტატი ი. პეტროსიანი, ელექტროტექნიკოსი შ. ბეჟურაშვილი, ხარატი ნ. მანუკიანი, ელსადგურის მუშაკი ვ. კოზმინი, გარაჟის უფროსი ა. ქურავლიოვი, ბეტონის ქარხნის უფროსი ე. სოლოვიოვი, ავტოტრანსპორტის მუშაკები — დ. ჩანადირი, ა. კუდრიაშევი, ი. იმერლიშვილი და სხვ.

ამჟამად ბულაჩაურელები გაცხოველებით ემზადებიან საბჭოთა არმიის 30 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 27 წლისთავის შესახვედრად. მათ იკისრეს მიმდინარე თვის გეგმები 25 თებერვლისათვის გაანაღდონ.

ა. თომაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კომუნისტი

შაბათი, 21 თებერვალი, 1948 წ. № 37 (8081)

შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვე

ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის 1948 წლის საწარმოო გეგმა

> „კოლმეურნეობა არის მსხვილი მეურნეობა. მაგრამ მსხვილი მეურნეობის გაძღოლა უგეგმოდ არ შეიძლება. მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობას, რომელიც მოიცავს ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათასეულ კომლს, შეიძლება გავუძღვეთ მხოლოდ გეგმიანი ხელმძღვანელობის წესით".
>
> (ი. სტალინი).

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ჯაბუა, პარტორგანიზაციის მდივანი ჰ. ხომერიკი, აგრონომი გრ. ნაკაიძე) შეადგინა 1948 წლის საწარმოო გეგმა. ეს გეგმა შედგენილია გასული წლების გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე.

კოლმეურნეობა 743 კომლს აერთიანებს. მან 1947 წელს სამშობლოს მისცა 846 ტონა ჩაი, 17 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 132 ტონა ტუნგო, 285 ცენტნერი სოია, 10 ტონაზე მეტი ხორცი. აქ მარტო შარშან წინა წელთან შედარებით 342 ტონით მეტი ჩაი მოიყვანეს, 2,1 მილიონი ცალით მეტი ციტრუსი, 56 ტონით მეტი ტუნგო, გააორკეცეს სოიას და გაასამკეცეს ბრინჯის მოსავლიანობა. მარცვლეულის დარგში დავალება შესრულებულია 182 პროცენტით, ჩაის დარგში — 148, ციტრუსების — 142, ტუნგოს — 111 პროცენტით. გადაჭარბებით არის შესრულებული საკოლმეურნეო ფერმებში პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები. კოლმეურნეობის 1.125 შრომისუნარიანი წევრიდან 670 სტახანოველია, წლიური დავალება კი მთლიანად 923 კაცმა შეასრულა. კარგი მუშაობისათვის მარტო ჩაის ხაზით პრემია-წანამატი მიღებული აქვს 666 კოლმეურნეს (471.000 მანეთი), სიმინდის ხაზით — 841 კოლმეურნეს (1.205 ცენტნერი). შარშან კოლმეურნეებმა გააშენეს 37 ჰექტარი ციტრუსი, 10 ჰექტარი ტუნგო, 4,5 ჰექტარი ჩაი, 20.000 ძირი ევკალიპტი, 7.000 ძირი წიწვიანი მცენარე.

კოლმეურნეობაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ, როგორც პლანტაციების გაშენების, ისე მოსავლიანობის ზრდის ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში შესრულდეს. ხუთწლედის ბოლოს კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს 223 ჰექტარი ჩაი, 406,4 ჰექტარი ციტრუსი; თვითეული ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან კოლმეურნეობამ უნდა მიიღოს 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი; მარტო ჩაისაგან კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი 12 მილიონ მანეთს უნდა უდრიდეს. კოლმეურნეობას მიზნად აქვს დასახული ეს მაჩვენებლები მოიპოვოს მომავალ წელს და ამრიგად, ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში განახორციელოს. სწორედ ეს ამოცანა დაედო საფუძვლად კოლმეურნეობის წლევანდელ საწარმოო გეგმას.

ჩაის დარგში

ჩაის პლანტაციების რაოდენობა წელს 209,5 ჰექტარს მიაღწევს, აქედან 205 ჰექტარი სრულმოსავლიანი იქნება. სახელმწიფო გეგმით წელს კოლმეურნეობამ ყოველი ჰექტარიდან ფაბრიკებს უნდა ჩააბაროს 3.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, სულ 717.500 კილოგრამი; კოლმეურნეობა კი კისრულობს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 4.200 კილოგრამი ჩაი მოიყვანოს, ხოლო სულ 861.000 კილოგრამი, აქედან 90 პროცენტი პირველი ხარისხისა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მოკრეფილ იქნას 150 ტონა ლაოჩაი, 40 ტონა კოფეინის მასალა და 15 ტონა თესლი. მარტო ჩაიდან კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი მიაღწევს 8.600.000 მანეთს.

ამ გეგმის შესასრულებლად კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე ამჟამად უკვე შეტანილია 800 კილოგრამი ფოსფოროვანი სასუქი, 15 იანვრამდე დამთავრდა ნიადაგის შებარვა და 21.000 გრძივი მეტრის სადრენაჟო და წყალსაფარი თხრილების გაყვანა. 25 თებერვლიდან 25 მარტამდე ჩატარდება პლანტაციების გასხვლა. წლის მანძილზე პლანტაციებში 4-5-ჯერ ჩატარდება კულტივაცია (ცხენით), 4-ჯერ კი თოხნა. აზოტოვან სასუქს შეიტანენ 3-4-ჯერ, საშუალოდ ჰექტარზე 1 ტონას. მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ წამლობა ჩატარდება ორჯერ, — ზაფხულზე და შემოდგომაზე მთელ ფართობზე.

ციტრუსების დარგში

შარშანდელთან შედარებით პლანტაციების ფართობი გაიზრდება 14 ჰექტარით და მიაღწევს 405,4 ჰექტარს. აქედან ლიმონი იქნება 205,6 ჰექტარი, ფორთოხალი — 42,8 ჰექტარი, დანარჩენი — მანდარინი. წელს მოსავლის მომცემია 280 ჰექტარი პლანტაცია. გეგმა ითვალისწინებს ამ პლანტაციებიდან 19 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღებას, რაც შარშანდელზე 2 მილიონი ცალით მეტია. ციტრუსებისაგან კოლმეურნეობა მიიღებს 3 მილიონ მანეთს.

ციტრუსოვანთა პლანტაციებში 20 მარტამდე შეტანილ იქნება 250 ტონა მინერალური სასუქი და 2.000 ტონა ნაკელი. 73 ჰექტარზე ჩათოხნიან მწვანე სასუქსაც. ავადმყოფობათა და დაავადებათა წინააღმდეგ წამლობა მთელ ფართობზე წლის მანძილზე 3-ჯერ მოეწყობა. ამ გაზაფხულზე შესახსნელია 44.960 ძირი შეფუთული ხე, შემოდგომაზე კი შეიფუთება 59.000 ძირი. 274.337 ძირი ციტრუსი სარზე აიკვრება. წლის მანძილზე 4-ჯერ მოეწყობა პლანტაციებში ძირების შემოთოხნა, 3-4-ჯერ კი რიგთა შორის გამოცლევა.

ტუნგოს დარგში

კოლმეურნეობაში წელს გაშენდება 8 ჰექტარი ტუნგო. ძველი პლანტაციებიდან გეგმით წელს სახელმწიფოს 150 ტონა ტუნგოს ნაყოფი უნდა ჩაბარდეს. კოლმეურნეობა გეგმის გადამეტებით 70 ტონის ჩაბარებას კისრულობს.

დასახული ამოცანის შესასრულებლად გათვალისწინებულია 1 მარტამდე ტუნგოს პლანტაციებში შეიტანონ 18 ტონა ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები და ძირები შებარონ. წლის მანძილზე პლანტაციებში ხეებს 3-4-ჯერ გამოუთოხნიან ძირებს, მწკრივთაშორისაც ამდენჯერვე ჩაატარებენ გამოცლევას.

ევკალიპტის დარგში

კოლმეურნეობაში გაშენებულია 156.700 ძირი ევკალიპტი. წელს კიდევ გააშენებენ 25.000 ძირს, ნაცვლად სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული 20.000 ძირისა. ევკალიპტი გაშენდება ტყეებად, ქარსაფარ ზოლებად და გზის პირებზე სოფლის გამწვანებისათვის.

სანერგე მეურნეობის დარგში

კოლმეურნეობას შარშან 5 ჰექტარი სანერგე ჰქონდა. წელს გათვალისწინებულია დამატებით 1 ჰექტარი სანერგე მოეწყოს. წელსვე მიიღებენ 70.000 ძირ ლიმონისა და ფორთოხლის სტანდარტულ ნერგს, 12.000-12.000 ძირ ტუნგოსა და თუთას, 250.000 ძირ ტრიფოლიატს, 40.000-40.000 ძირ წიწვოვან მცენარეს და ევკალიპტს, 24.000 ძირ წყავის, ჰადარის, ალვის ხისა და სხვა ფოთლოვანების ნერგს. ამ ნერგთა 50-60 პროცენტს სხვა კოლმეურნეობებს მიჰყიდიან, დანარჩენი კი ადგილობრივ იქნება გამოყენებული ახალი პლანტაციების გაშენების, რემონტის, სოფლის გამწვანების, ქარსაფარი ზოლისა და ხელოვნური ტყეების მოწყობისათვის. კოლმეურნეობა წელს სანერგე მეურნეობიდან 280.000 მანეთს მიიღებს.

სანერგე მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად წელს დაითესება 0,5 ჰექტარი ტრიფოლიატი, დასამყნობად გადარგავენ ლიმონისა და ფორთოხლის 120 ათას საძირეს, მოაწყობენ 0,5 ჰექტარ თუთის სანერგეს, დააფესვიანებენ ფოთლოვანი ხეების 18.000 კალამს, პიკირებულ იქნება 15.000 ძირი ტუნგო.

მემინდვრეობის დარგში

ნატანებელი კოლმეურნეები წელს დათესენ 355 ჰექტარ სიმინდს (აქედან 70 ჰექტარს მწკრივად), 290 ჰექტარ სოიას (რიგთა შორის), 18 ჰექტარ ლობიოს და 10 ჰექტარ ბრინჯს. მათ გათვალისწინებული აქვთ ყოველ ჰექტარზე მოიყვანონ 30 ცენტნერი სიმინდი, 25 ცენტნერი ბრინჯი, 8 ცენტნერი ლობიო და 2,5 ცენტნერი სოია. ხვნას მთელ ფართობზე ჩაატარებენ თებერვალსა და მარტში, თესვას კი 5 აპრილიდან 1 მაისამდე. გათვალისწინებულია ნათესების 4-ჯერ გათოხნა. ნიადაგში ზედმეტი სინესტის დაგროვების წინააღმდეგ გაყვანილ იქნება 28.000 გრძივი მეტრი თხრილები. თესლად გამოიყენებენ მხოლოდ ადგილობრივ თეთრ სიმინდს და სოიასა და ლობიოს გურულ ჯიშებს. ყანებში 40 ჰექტარზე შეიტანენ შლამს, თვითეულ ჰექტარზე 40 ტონას.

მიღებული მოსავლიდან სახელმწიფოს ჩაბარდება მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის ნატურქირის ანგარიშში 80 ცენტნერი სიმინდი და 45 ცენტნერი სოია, ხოლო სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში 270 ცენტნერი სოია. კოლმეურნეობა სადაზღვევო ფონდის ჩათვლით თესლად გამოჰყოფს 210 ცენტნერ სიმინდს, 50 ცენტნერ სოიას, 10 ცენტნერ ბრინჯსა და 5 ცენტნერ ლობიოს. საფურაჟე ფონდისათვის გამოჰყოფენ 405 ცენტნერ მარცვლეულს, 210 ცენტნერს კი ინვალიდების, ბავშვთა ბაგებისა და მეომართა ოჯახების დასახმარებლად. დანარჩენი მარცვლეული განაწილდება შრომადღეებზე. კოლმეურნეები შრომადღეზე მიიღებენ 25 მანეთს და 5 კილოგრამზე მეტ სიმინდს, 100-100 გრამ ბრინჯსა და სოიას, 50 გრამ ლობიოს.

მებოსტნეობის დარგში

კოლმეურნეობაში მებოსტნეობის მიზანია მომარაგოს საკუთარი საბავშვო ბაგები. წელს დაითესება 1 ჰექტარი პამიდორი, ბადრიჯანი, კიტრი და სხვადასხვა მწვანილი. მებოსტნეობიდან გათვალისწინებულია 30.000 მანეთი შემოსავლის მიღება.

ცოცხალი ღობის, ქარსაფარი ზოლის მოწყობისა და სოფლის გამწვანების დარგში

ციტრუსოვანთა პლანტაციების ირგვლივ წელს კოლმეურნეები დამატებით გააშენებენ 2,5 კილომეტრ ცოცხალ ღობეს და 3 კილომეტრ ქარსაფარ ზოლს; ჩაის პლანტაციების ირგვლივ — 1,8 კილომეტრ ცოცხალ ღობეს და 1,2 კილომეტრ ქარსაფარ ზოლს. სულ ქარსაფარი ზოლის სიგრძე კოლმეურნეობაში 16 კილომეტრს მიაღწევს, ცოცხალი ღობისა კი — 17,4 კილომეტრს. ამით პლანტაციები მთლიანად დაცული იქნება როგორც პირუტყვისა, ისე ქარისაგან. გარდა ამისა, კოლმეურნეობა წელს სოფლის გამწვანებისათვის დარგავს 14.000 ძირ სხვადასხვა მცენარეს.

მეცხოველეობის დარგში

დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. კოლმეურნეობაში მოწყობილია 5 სახის ფერმა. წელს გეგმით ფერმებს შეემატება 80 ხბო, 10 კვიცი, 120 გოჭი, 160 ფრთა ქათამი, 10 სკა ფუტკარი. წლის ბოლოსათვის ფერმაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა აყვანილ იქნება 755 სულამდე (მათ შორის იქნება 59 კამეჩი), ცხენისა — 75 სულამდე, ღორისა — 70 სულამდე. ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა მიაღწევს 60-ს, ხოლო ქათმისა—300 ფრთას. ფერმებში მარტო ძროხა 130 სული იქნება, ფაშატი — 20, ხოლო დედალორი — 30 სული.

კოლმეურნეობა თავის წევრებს (ფრონტელთა ოჯახებს) მიჰყიდის 80 გოჭს და 15 დეკეულს, ხოლო 45 სულს ნასუქ პირუტყვს ხორცის დამზადების გეგმის შესასრულებლად სახელმწიფოს ჩააბარებს. კოლმეურნეობაში გახედნიან 60 მოზვერს და ხარების რაოდენობას აიყვანენ 400 სულამდე.

გეგმის მიხედვით თვითეული ძროხიდან მიიღებენ 550 ლიტრ რძეს, ნაცვლად შარშან მიღებული 320 ლიტრისა. სულ კოლმეურნეობა წლის მანძილზე მიიღებს 50.000 ლიტრ რძეს. აქედან 11.700 ლიტრი სახელმწიფოს ჩაბარდება, დანარჩენი საკოლმეურნეო ბაზარზე გაიყიდება. მეცხოველეობიდან გათვალისწინებულია 120.000 მანეთი შემოსავლის მიღება.

დამხმარე საწარმოთა დარგში

სერიოზული ყურადღება დაეთმობა დამხმარე საწარმოთა მუშაობის გაძლიერებას. სახერხი ქარხანა კოლმეურნეობის საჭიროებისათვის დახერხავს 320 კუბმეტრ ხე-ტყის მასალას, კოლმეურნეთა პირადი საჭიროებისათვის კი — 200 კუბმეტრს. აგურის ქარხანა გამოუშვებს 200.000 ცალ აგურს. აქედან 120.000 ცალი მოხმარდება საკოლმეურნეო მშენებლობას, დანარჩენი გაიყიდება. სახერხი ქარხანა კოლმეურნეობას მისცემს 70.000 მანეთ შემოსავალს, ხოლო წისქვილიდან სახელმწიფოს 7 ტონა მინდი ჩაბარდება.

მშენებლობის დარგში

კოლმეურნეობაში წელს დაიწყება თეატრის მშენებლობა. ამ საქმეზე ნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯება. თეატრი 500 კაცს დაიტევს. წელსვე ააგებენ ერთდროულად 15 კაცის გამტარუნარიანობის საკოლმეურნეო აბანოს, რაზეც 180.000 მანეთი დაიხარჯება. აგებულ იქნება აგრეთვე მეორე მექანიზებული წისქვილი (ზემო ნატანებში), ელექტროსადგური, ბავშვთა ბაგა და ორი კაპიტალური ბოსელი მსხვილფეხა პირუტყვისათვის. წისქვილის, ელსადგურის, ბაგისა და ბოსლების მშენებლობაზე 440.000 მანეთი დაიხარჯება.

კულტურულ-მასობრივი მუშაობის დარგში

კოლმეურნეობა საკუთარი კინოდანადგარით თავისი წევრებისათვის ყოველ კვირაში 4-ჯერ გამართავს კინოსეანსს. სულ ნაჩვენები იქნება 200-ზე მეტი სურათი. საკოლმეურნეო მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი მოაწყობს 16 საღამო-კონცერტს, გარეშე ძალებით კი — 15 საღამო გაიმართება.

კოლმეურნეობაში სერიოზული ყურადღება დაეთმობა კადრების სწავლებას. მომზადდება საანგარიშო დარგის 4 მუშაკი, 1 ფერმის გამგე, 1 ზოოტექნიკოსი, 2 აგროტექნიკოსი. აგროწრეები იმუშავებენ ყველა ბრიგადასა და რგოლში. ყოველთვიურად გამოუშვებენ კედლის გაზეთის 2 ნომერს. წაკითხულ იქნება 120 ლექცია საერთაშორისო და სხვა საკითხებზე.

კოლმეურნეობის კანტორაში გამოყვანილია ტელეფონი, რადიო და ელექტროშუქი. წელს სატელეფონო ხაზს გაიყვანენ კოლმეურნეობის 10 ბრიგადაში, 50 ოჯახში დადგამენ რადიოს, 180 ოჯახში გაიყვანენ სინათლეს. ჩაის კრეფის სეზონის განმავლობაში (მაისიდან ოქტომბრამდე) იმუშავებს 6 ბავშვთა ბაგა, რომელიც 250 ბავშვს მოემსახურება.

შრომის ორგანიზაციის დარგში

კოლმეურნეობაში მაღალია შრომის დისციპლინა. თვალისჩინივით უფრთხილდებიან საკოლმეურნეო საკუთრებას. სწორად ხდება საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამება. კოლმეურნეობის გამგეობა მტკიცედ ახორციელებს საერთო კრების გადაწყვეტილებებს, ხოლო კოლმეურნეები სისტემატურ კონტროლს უწევენ ხელმძღვანელთა საქმიანობას და შეერთებული ძალით იბრძვიან კოლმეურნეობის შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

კოლმეურნეობაში თვითეულ ბრიგადას მიჩენილი აქვს მუდმივი ნაკვეთები, ინვენტარი და პირუტყვი. ბრიგადებში შექმნილია რგოლები, რომელთაც ასევე ჩაბარებული აქვთ ტექნიკური და სხვა კულტურების განსაზღვრული ნაკვეთები. აღკვეთილია ბრიგადებისა და რგოლების შემადგენლობის დენადობა. ყოველწლიურად შემოდგომაზე და გაზაფხულზე, თუ საჭიროა, ხდება რგოლების გადასინჯვა მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი შევსებულ იქნან და ესა თუ ის კოლმეურნე, თუ ამას წარმოების ინტერესები მოითხოვს, გადაყვანილ იქნას ერთი რგოლიდან მეორეში. მინდვრისა და სხვა სამუშაოებში შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ზრდისათვის გამოყენებულია ინდივიდუალური და წვრილჯგუფური სანარდო სისტემა. აღმოფხვრილია გათანაბრება შრომის ანაზღაურებაში, კოლმეურნეთა შორის შრომადღეებისა და საკოლმეურნეო მოსავლის განაწილებაში. ყოველი შრომადღე ზუსტად აღირიცხება და შემოსავალი შრომის მიხედვით ნაწილდება.

წელს ნატანების კოლმეურნეობაში იმუშავებს ჩაისა და მემინდვრეობის 16 ბრიგადა, ციტრუსებისა — 9, სულ კი 34 ბრიგადა და 75 რგოლი. უკვე დამტკიცებულია ბრიგადების შემადგენლობა. დამთავრებულია ბრიგადებს შიგნით რგოლებისათვის და რგოლებს შიგნით კოლმეურნეებისათვის ნაკვეთების მიჩენა. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში და ერთწლიან კულტურებზე იმუშავებს 991 კაცი, სანერგესა და ბოსტანში — 36, მეცხოველეობაში — 24, ხოლო დამხმარე საწარმოებსა და მშენებლობაზე — 47 კაცი.

შრომადღის ღირებულების ამაღლებისათვის უკვე გადასინჯულია გამომუშავების ნორმები. უფრო ფასდება ის სამუშაოები, რომლებიც მეტი მნიშვნელობისაა კოლმეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის. დაზუსტებული ნორმების მიხედვით მემცენარეობაში (ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, სხვა მრავალწლიანი ნარგავები და ერთწლიანი კულტურები) დაიხარჯება 175.400 შრომადღე, მეცხოველეობაში—26.202, მუშა-საქონლის მოვლაზე — 2.500, მშენებლობაზე — 5.900, დამხმარე საწარმოებში — 8.400, სხვა სამუშაოებზე — 28.160, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებზე, ადმინისტრაციულ-სამმართველო და მომსახურე აპარატის მომუშავეებზე — 23.500 შრომადღე, სულ 270.062 შრომადღე. ამრიგად, ნორმების გადასინჯვის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ წელს საწარმოო დავალებანი როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხოველეობაში შარშანდელზე ბევრად მეტია, შრომადღეების საერთო ჯამი უმნიშვნელო რაოდენობით დიდდება.

* * *

ეჭვი არ არის, ნატანებელთა მიერ 1948 წლის გეგმის შესასრულებლად უკვე გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მთლიანად იქნება გამოყენებული იმისათვის, რომ სამშობლოს მისცენ მეტი ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი კოლმეურნეობა, აამაღლონ კოლმეურნეთა შეძლებულობისა და კულტურის დონე.

ტ. თოდრაძე

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და მოსკოვს ჩამოსულ რუმინეთის სავაჭრო დელეგაციას შორის მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 18 თებერვალს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება 1948 წლის საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიქოიანმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით—ფინანსთა მინისტრმა ბ-ნმა ვ. ლუკამ.

19 თებერვალს რუმინეთის სავაჭრო დელეგაცია, ფინანსთა მინისტრის ბ-ნ ვ. ლუკას მეთაურობით, ბუქარესტს გაემგზავრა. (საკდესი).

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია

სტალინირის საქალაქო ორგანიზაციის მეოთხე კონფერენციამ მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო და სტალინირის საქალაქო კომიტეტების მდივნის ამხ. ვ. ცხოვრებაშვილის საანგარიშო მოხსენება პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა გააშუქა, თუ როგორ მუშაობენ ქალაქის საწარმოთა კოლექტივები. საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ლენინგრადელთა პატრიოტული მოწოდების პასუხად სტალინირის საწარმოთა კოლექტივებმა პირობა დასდეს ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ ოთხ წელიწადში. უკანასკნელი წლების განმავლობაში სტალინირის ხე-ტყის კომბინატი ზედიზედ აღწევს წარმატებებს. კომბინატმა 1946 წლის საწარმოო დავალება შეასრულა 149,1 პროცენტით, 1947 წლის გეგმა კი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისათვის 114,3 პროცენტით ჰქონდა განაღდებული. სამეურნეო წლის დასასრულამდე კომბინატმა სამშობლოს გეგმის გადამეტებით დიდძალი პროდუქცია მისცა. კომბინატის კოლექტივი ახალ წარმატებებს აღწევს მიმდინარე წლის დასაწყისშიც.

— ქალაქში, — სთქვა ამხ. ცხოვრებაშვილმა, — ფართოდ გაჩაღებულია მშენებლობა. ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საშენ მასალათა საწარმოების რიტმულ მუშაობას. გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებენ სტალინირის აგურისა და კრამიტის ქარხნები. გასული წლის დავალება აგურის ქარხანამ 73,3 პროცენტით შეასრულა, კრამიტის ქარხანამ კი — 59,2 პროცენტით. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ აღნიშნულ საწარმოთა მუშაობას, ხოლო პარტიული ორგანიზაციები არ ეხმარებიან ადმინისტრაციის მიცემული დავალების შესრულების საქმეში. მომხსენებელმა თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი ჯეროვან დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევდა აგურ-კრამიტის ქარხნების კოლექტივებს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ქალაქის სავაჭრო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას. მან აღნიშნა, რომ საქვაჭრობის სტალინირის განყოფილებამ თავისი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 დეკემბრის ისტორიული დადგენილების საფუძველზე. განყოფილებას ქალაქში დამატებით უნდა გაეხსნა 10 სავაჭრო წერტი, დღემდე კი გახსნილია 8. ზოგიერთ მაღაზიასა და სასადილოში საბჭოთა კულტურული ვაჭრობის წესებს არღვევენ. მომხსენებელმა გააკრიტიკა ქალაქის სავაჭრო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, რომლებმაც თავიანთი საქმიანობა ვერ გარდაჰქმნეს ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

— უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, — სთქვა შემდეგ ამხ. ცხოვრებაშვილმა, — ქალაქის კომუნალურ მშენებლობებზე დაიხარჯა 5.500.000 მანეთი. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. 1945-47 წლებში ამ საქმეზე 520.000 მანეთი დაიხარჯა.

ამხ. ცხოვრებაშვილი ვრცლად შეეხო ქალაქის პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოების მუშაობას, გამოააშკარავა არსებული ნაკლოვანებანი და მიუთითა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებზე.

მომხსენებელმა გააშუქა მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების, თეატრის, სკოლების და სხვა დაწესებულებათა მუშაობის საკითხები.

— საანგარიშო პერიოდში, — განაგრძო ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა, — რომელიც ოთხ წელს მოიცავს, ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ ოთხი წლის წინათ ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ რიგებში 836 კომუნისტს ითვლიდნენ, ახლა ეს რიცხვი 1.482-მდე გაიზარდა. იმატა პირველადი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობამაც. საანგარიშო პერიოდში ახლად შეიქმნა 27 პარტიული ორგანიზაცია. ახლა პარტიული ორგანიზაციების რაოდენობა 69-ს აღწევს.

— სათანადო ყურადღება არ ეთმობა, — სთქვა მომხსენებელმა, — პარტიაში ახლად მიღებულებთან, განსაკუთრებით კი პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობას. სწორედ ამის შედეგია, რომ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში 74 სტაჟგადაცილებული კანდიდატი ითვლება.

ქალაქის მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან კომუნისტთა იდეურად შეიარაღებისათვის. ამჟამად ქალაქში პარტიის ისტორიის მოკლე კურსს, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს დამოუკიდებლად სწავლობს 814 კომუნისტი. მათთვის ხშირად ეწყობა თეორიული კონფერენციები, ამხანაგური გასაუბრებანი, ლექცია-მოხსენებები და სხვ.

მომხსენებელმა აღნიშნა უკანასკნელ წლებში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მიერ კადრებთან მუშაობაში მოპოვებული წარმატებანი. საანგარიშო პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტის ნომენკლატურულ თანამდებობაზე დაწინაურებულ იქნა 395 კაცი.

ამხ. ვ. ცხოვრებაშვილის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ბ. კორნაევის საანგარიშო მოხსენება.

კონფერენციაზე კამათში გამოვიდნენ გ. ჯატიევი (სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი), ა. აბულაძე (გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქტორის მოვალეობის აღმსრულებელი), ე. ჯაბიევა (სტალინირის სახელმწიფო ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანი), ე. ბეკოევი (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), ე. ჯიოევი (კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი), ი. კუდუხოვი (საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში) და სხვები, სულ ოცი კაცი.

კონფერენციამ პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის ახალ შემადგენლობაში აირჩია 37 წევრი და 11 კანდიდატი. სარევიზიო კომისია არჩეულია 7 კაცის შემადგენლობით.

კონფერენციამ მქუხარე ტაშით მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს, ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, ლ. პ. ბერიას და კ. ნ. ჩარკვიანს.

* * *

შესდგა საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ი. კუდუხოვი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ი. ფუხაევი, მდივნად პროპაგანდის დარგში — ამხ. გ. ივანიძე.

ვ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პლენუმი მეაბრეშუმეობის საკითხებზე

ქალაქ ბაქოში ამას წინათ მოწვეული იყო ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის მეაბრეშუმეობის სექციის XIII გაფართოებული პლენუმი. პლენუმს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხრიდან დაესწრო მეაბრეშუმეობის დარგში მომუშავე 150 მეცნიერი და [illegible].

„თუთის აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გადიდების და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს უფროსის ამხ. ვ. ი. მიხაილოვის მოხსენების შემდეგ პლენუმმა მოისმინა თბილისის, შუა აზიის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, [illegible] და აზერბაიჯანის მეაბრეშუმეობის სადგურების მეცნიერ მუშაკთა 12 მეცნიერული მოხსენება.

[illegible] მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-[illegible] ინსტიტუტიდან მოხსენება თემაზე „აბრეშუმის ჭიის [illegible] კოლმეურნეობებში" [illegible] კანდიდატმა გ. ბახტაძემ და „თუთის ნარგავების [illegible] საკითხისათვის" — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. კაჭარავამ.

პლენუმმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მეაბრეშუმეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

პლენუმის მასალები ცალკე კრებულად გამოიცემა.

ლ. ლორთქიფანიძე
[illegible]

მხურვალედ იწონებენ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ოპერა „დიდი მეგობრობის" შესახებ

სტალინური მზრუნველობა ხელოვნებისადმი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ოპერა „დიადი მეგობრობის" შესახებ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა ის უდიდესი მზრუნველობა, რომელსაც იჩენენ კულტურისა და ხელოვნებისადმი ჩვენი პარტია, დიდი სტალინი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს ისტორიული დადგენილება ხელოვანთა წინაშე აყენებს ხელოვნების ხალხურობისათვის ბრძოლის ამოცანას. მხატვრული ნაწარმოები უნდა უყვარდეს ხალხს, უნდა ზრდიდეს ხალხს, უნდა ეხმარებოდეს მის წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელი სიძლიერით აყენებს შემოქმედებაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, გადაგვარების გზაზე დამდგარი დასავლეთის ხელოვნების წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს.

ჩვენს დროში, როდესაც რადიოს საშუალებით მუსიკა ხალხის ფართო მასების კუთვნილებაა, იგი უძლიერესი იარაღი გახდა ხალხის იდეოლოგიური აღზრდის საქმეში. სწორედ ამიტომ ულმობელი უნდა იყოს იმ დამახინჯებებთან ბრძოლა, რომლებსაც აქამდე ჰქონდა ადგილი ზოგიერთი კომპოზიტორის შემოქმედებაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ დასახა საბჭოთა მუსიკის განვითარების სწორი და ნათელი გზა. უდავოა, რომ ეს ისტორიული დადგენილება სულ ახლო მომავალში მოიტანს სასურველ შედეგს.

პროფესორი ალ. ბარამიძე
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ჩვენი მშობლიური საქმე

საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში ახალ ეტაპს ჰქმნის პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილება. ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მუსიკალური შემოქმედების, არამედ ხელოვნების ყველა დარგის და კერძოდ ლიტერატურის მუშაკებისათვის. ხალხურობა და სისადავე, მელოდიურობა და ფრაზის მკაფიობა ისევე მოეთხოვება მხატვრულ ლიტერატურას, როგორც მუსიკას. ჩვენი კომპოზიტორების ზოგიერთი მარცხის გამო საყვედური პოეტებსაც გვეკუთვნის. ჩვენ კიდევ არა გვაქვს ერთმანეთს შორის ახლო შემოქმედებითი ურთიერთობა, არ ვიცნობთ ერთიმეორის მიღწევებს, არ ვეხმარებით ახლის ძიებასა და შექმნაში.

კარგი ლიბრეტო ყოველთვის იყო და არის მაღალმხატვრული ოპერის დაწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა. ჩვენი კომპოზიტორები ყოველთვის როდი ამჟღავნებენ ლიტერატურული ნაწარმოების მიმართ (ლიბრეტოს არჩევისას) იმ მაღალ გემოვნებას, რომელიც მათ გააჩნიათ მუსიკაში. თავის მხრივ ჩვენი მწერლობაც უხვად არ იძლევა შესაფერ მასალას კომპოზიტორთა შთაგონებისათვის.

ხალხისათვის საყვარელი საბჭოთა ქართული ოპერის შექმნა ჩვენთვის, პოეტებისთვისაც, ისეთივე მშობლიური საქმეა, როგორც კომპოზიტორებისათვის. ჩვენ უნდა დავეხმაროთ კომპოზიტორებს, უნდა შევუქმნათ მათ კარგი ლიბრეტოები და სასიმღერო ტექსტები, ჩვენც უნდა ვიყოთ მათი მომავალი შემოქმედებითი გამარჯვებების მონაწილენი.

აი რას შთაგვაგონებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

პოეტი გრიგოლ აბაშიძე

მუსიკა გასაგები უნდა იყოს ხალხისათვის

მუსიკა ხალხის საყვარელი ხელოვნებაა. ჩვენ, მუშები, ხშირად მუშაობის დროსაც რადიოთი ვისმენთ საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს, თავისუფალ დროს კი დავდივართ თეატრებში. კარგი ოპერა, კარგი მუსიკა ძალასა და ენერგიას გვმატებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ოპერა „დიადი მეგობრობის" შესახებ, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი ქარხნის კოლექტივიც აღფრთოვანებით შეხვდა. როგორც ყველა საბჭოთა მშრომელს, ჩვენს კომპოზიტორებსაც მუშაობის შესანიშნავი პირობები აქვთ, სტალინური მზრუნველობით სარგებლობენ. ჩვენმა კომპოზიტორებმა უნდა შექმნან ნამდვილად ხალხური, მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოებნი.

ჩვენ, მუშები, ქართველი კომპოზიტორებისაგან მოველით კარგს, ნამდვილ ხალხურ, რეალისტურ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

შ. ხიზანიშვილი
თბილისის სართქლმავლო დეპოს აწევითი შეკეთების საამქროს უფროსი, ორდენოსანი

მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა ტოკიოს პროცესზე

ტოკიო, 18 თებერვალი. (საკდესი). ტოკიოს ტრიბუნალმა თებერვლის დამდეგს, როგორც იქნა, დაამთავრა სასამართლო გამოძიება და გადავიდა მხარეთა კამათზე. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მთავარმა ბრალმდებელმა ამერიკისაგან კინენმა. მან მხარი დაუჭირა ბრალდებას ყველა ბრალდებულის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ცდილობდა გაემართლებინა იმპერატორი და ერთი სიტყვითაც არ შეხებია იმ როლს, რომელსაც იაპონიის აგრესიის მოწყობაში ასრულებდნენ იაპონიის კაპიტალის მონოპოლისტური გაერთიანებანი — ყბადაღებული ძაიბაცუ. კინენმა საერთო ფორმით მოითხოვა ბრალდებულთა მკაცრი დასჯა.

17 და 18 თებერვალს ბრალმდებელმა საბჭოთა კავშირისაგან ამხ. ა. ნ. ვასილიევმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, მიძღვნილი სსრ კავშირის წინააღმდეგ იაპონიის აგრესიის დამამტკიცებელი საბუთების ანალიზისადმი.

ამხ. ა. ნ. ვასილიევის სიტყვა

„ბატონო თავმჯდომარევ და ბატონო ტრიბუნალის წევრებო!

ახლოვდება მომენტი, როცა თქვენ განაჩენს გამოიტანთ მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა საქმეზე.

ამ საქმის განხილვა, რასაც ესოდენ დიდი დრო დასჭირდა, უნდა დაგვირგვინდეს იმ მაღალი მიზნის შესაფერი აქტით, რომლისთვისაც მოწყობილია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი.

ეს მიზანია — დაგმობილ იქნას იაპონიის აგრესია მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ, მკაცრად დაისაჯონ მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავენი, ამით დახმარება გაეწიოს იაპონიის გარდაქმნას მშვიდობიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ და დაცულ იქნას მსოფლიო ახალი აგრესიისაგან, გაფრთხილებულ იქნან ისინი, ვინც, დაბრმავებული მსოფლიო ბატონობის გიჟური იდეებით, სხვათა მიწების დაპყრობისა და ხალხთა დამონების იდეებით, მოისურვებს განახორციელოს რაიმე იმის მსგავსი, რისთვისაც თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას აჩაღებდნენ ჰიტლერის იაპონელი თანამებრძოლები.

იმპერიალისტურმა იაპონიამ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე აგრესიის კერა იყო აღმოსავლეთში, ჰიტლერულმა გერმანიამ და ფაშისტურმა იტალიამ მოაწყეს შეთქმულება, გააჩაღეს მეორე მსოფლიო ომი და კაცობრიობა და მისი ცივილიზაცია დაღუპვის პირას მიიყვანეს.

საბჭოთა კავშირი გაუმკლავდა აგრესორთა მთავარ დარტყმას და გადამწყვეტი როლი შეასრულა მათ განადგურებაში, ფაშისტური ბარბაროსობისაგან კაცობრიობის გადარჩენაში. ამიტომ, როგორც იაპონიის უახლოესი მეზობელიც, საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია აგრესიის იაპონური კერის რადიკალური ლიკვიდაციით.

იაპონიის აგრესიის ლიკვიდაცია ტრიბუნალის კომპეტენციის ფარგლებში იმას ნიშნავს, რომ, უწინარეს ყოვლისა, მკაცრად დაისაჯოს იმ შეთქმულთა ჯგუფი, რომელნიც საბრალდებო სკამზე სხედან. ბრალდებულებს ახლაც არ დაუყრიათ იარაღი. ისინი განაგრძობენ თავიანთი აგრესიული პოლიტიკის აქტიურ დაცვას. ტრიბუნალის წინაშე წარმდგარი შეთქმულები იმითაც არიან საშიშნი, რომ მათ გარშემო თავს იყრიან იაპონიის უაღრესად რეაქციული ელემენტები, ყოფილი გენერლების, მზვერავების, დიპლომატების სახით, რომლებიც სასამართლოში მოწმეებად გამოდიან და ყოველი ძალით ცდილობენ გაამართლონ თავიანთი ყოფილი ბატონ-პატრონები.

ტრიბუნალმა განაჩენის გამოტანისას ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს.

როგორც ბრალმდებელს სსრ კავშირისაგან, საბრალდებო აქტის მთელი მოცულობით, ვუჭერ რა მხარს ბრალდებას, რაც წარდგენილია ყველა ბრალდებულისადმი, ჩემს განსაკუთრებულ ამოცანად მიმაჩნია დავასაბუთო ბრალდება აგრესიაში, რაც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იაპონიის აგრესიას სსრ კავშირის წინააღმდეგ ღრმა ფესვები აქვს წარსულში. აგრესიული მოქმედება, რაც ბრალდებად აქვთ წაყენებული მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეებს, მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის წინააღმდეგ იაპონიის ომთან 1904-1905 წლებში და იაპონიის ინტერვენციასთან შორეულ აღმოსავლეთში 1918-1922 წლებში.

იაპონიის აგრესიული პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში უკვე XX საუკუნის დამდეგს აშკარად იყო მიმართული რუსეთის სახელმწიფოს საზარალოდ, მას მიზნად ჰქონდა აღმოსავლეთში დაეხშო ჩვენი ქვეყნისათვის ყველა გასასვლელი ოკეანისაკენ, დაეპყრო სახალინი და რუსეთისათვის ჩამოეგლიჯა მთელი მისი შორეული აღმოსავლეთი.

იაპონიის ამ პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება იყო რუსეთის ფლოტზე ომის გამოუცხადებლად ვერაგული თავდასხმა 1904 წლის 8 თებერვალს. 1904-1905 წლების ომის შედეგად იაპონიამ დაიპყრო რუსეთის კუნძულ სახალინის სამხრეთი ნაწილი.

1918 წელს იაპონიის იმპერიალისტები კვლავ დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას, დაიკავეს საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი და ოთხ წელს ძარცვავდნენ ჩვენს ხალხს. საყოველთაოდ ცნობილია ის ბოროტმოქმედებანი, რასაც იაპონელი ინტერვენტები საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში სჩადიოდნენ.

რუსი ხალხის გმირული ბრძოლის მეოხებით იაპონელი იმპერიალისტები იძულებულნი გახდნენ აბარგებულიყვნენ საბჭოთა შორეული აღმოსავლეთიდან. მაგრამ სსრ კავშირის წინააღმდეგ იაპონელ მილიტარისტთა აგრესიული ზრახვების რეალიზაცია გადადებული იყო მხოლოდ ხელსაყრელ მომენტამდე.

აგრესიული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოადგენდა იაპონიის მმართველი ხროვის პროგრამას.

ომის იდეოლოგიური მომზადება სწარმოებდა „დიდი აღმოსავლეთი აზიის წინააღმდეგობის სფეროს" შექმნის ყბადაღებული ლოზუნგის კვამლის საფარით. მრავალ „საკვლევ ბიუროში", „ინსტიტუტში" და „საზოგადოებაში", რომელთაც შეთქმულები ჰქმნიდნენ, ივეგმებოდა ხალხთა გაძარცვა, რომელთა დაპყრობაზეც აგრესორები ოცნებობდნენ, და იმ ტერიტორიების ათვისება, რომელთა დაპყრობაც განზრახული ჰქონდათ.

იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდამ დიდი ადგილი ეკავათ განსაკუთრებული ტიპის ორგანიზაციებს, რომლებიც ფორმალურად კერძო საზოგადოებებად ითვლებოდნენ, მაგრამ რომელთა საქმიანობაც ფაქტიურად წარიმართებოდა მთავრობის ორგანოების მიერ, და რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავდნენ და წარმართავდნენ იაპონიის სახელმწიფო აპარატის მუშაობას.

ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო „სახელმწიფო პოლიტიკის შემსწავლელი საზოგადოება" („კოკუსაკუ კენკიუ-კაი"). ამ საზოგადოების წევრთა შორის ჩვენ ვხედავთ ოთხ ბრალდებულს ამ პროცესზე: ტოგოს, კაიას, მუტოსა და სატოს, მაგრამ საზოგადოების ყველა „ძიება" კარგად იყო ცნობილი სხვა ბრალდებულებისთვისაც, კერძოდ ტოძიოსთვის*).

ამ საზოგადოების საერთო საქმეთა ბიუროს ყოფილი უფროსის იაცუგის ბინაზე ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა გენერალური შტაბისა და სამხედრო სამინისტროს იმ ტერიტორიების მმართველობის ორგანიზაციის უაღრესად საიდუმლო დოკუმენტების პირები, რომლებიც განზრახული იყო დასაპყრობად. იაცუგის ჩვენებით, ეს დოკუმენტები მიღებული იყო „დიდი აღმოსავლეთი აზიის თანააყვავების სფეროს შექმნის 10 წლის გეგმის" პროექტის შესადგენად.

1941 წლის ოქტომბერში საზოგადოება სპეციალურად მუშაობდა „სსრ კავშირის ოკუპირებულ რაიონებში შეიარაღებული იაპონელი კოლონისტების გაგზავნასა" და საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ რაიონებში თეთრ ემიგრანტთა გამოყენების საკითხის შესწავლაზე.

1943 წლის მაისში საზოგადოებამ გამოსცა „თანააყვავების სფეროს შექმნის 10 წლის გეგმის" პროექტი.

„გეგმაში" აღნიშნული იყო:

„საბჭოთა ტერიტორიის მომავალი. ეს საკითხი გადაიჭრება იაპონია-გერმანიის შეთანხმებით. ამჟამად მისი გადაჭრა ძნელია. მიუხედავად ამისა, ზღვისპირეთის ოლქი იმპერიის ტერიტორიულ სამფლობელოებს შეუერთდება. ციმბირის რკინიგზა მთლიანად მოექცევა გერმანიისა და იაპონიის კონტროლში. ამასთან გამმიჯნველი ხაზი მათ შორის ომსკზე გაივლის".

საზოგადოება „კოკუსაკუ კენკიუ-კაის"-თან ერთად სსრ კავშირის წინააღმდეგ დამპყრობლურ გეგმებს ამუშავებდა ეგრეთწოდებული „ტოტალური ომის ინსტიტუტი". ინსტიტუტის 1943 წლის „ნაშრომები" შეიცავდნენ „ღონისძიებებს ციმბირისა და გარემონღოლეთის მმართველობის დარგში", რომლებითაც გათვალისწინებული იყო:

„ოკუპირებულ რაიონებში შემოღებულ უნდა იქნას სამხედრო ადმინისტრაცია... ჩვენი ძლიერების განმტკიცების მიზნით, საჭიროა ზუსტად ვისარგებლოთ რეალური ძალით და არ დავკვეთ ეგრეთწოდებულ ზომიერების პრინციპამდე".

„დიდი აღმოსავლეთი აზიის თანააყვავების სფეროს" შექმნის პროექტიდან, რაც ინსტიტუტმა შეიმუშავა, სჩანს, რომ ტერორისტული მოქმედების რეჟიმს უნდა დაქვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის ყველა ოლქი და ციმბირის აღმოსავლეთი ნაწილი.

სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიული ომის იდეა იაპონიის სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. მოწმე ტაკებმ აჩვენა, რომ 1933 წელს ბრალდებულმა არაკიმ — იმ დროს სამხედრო მინისტრმა,—რომელიც გუბერნატორთა თათბირზე გამოვიდა მოწოდებით საბჭოთა კავშირზე მალე თავდასხმისაკენ, განაცხადა:

„...იაპონია თავისი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების დროს აუცილებლად უნდა შეეჯახოს საბჭოთა კავშირს, ამიტომ იაპონიამ ომის გზით უნდა დაიკავოს ზღვისპირეთის, ამიერბაიკალისა და ციმბირის ტერიტორიები".

იაპონიაში ეწეოდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის თავაშვებულ პროპაგანდას რაც გაძლიერდა საბჭოთა კავშირზე გერმანიის ავაზაკური თავდასხმის შემდეგ.

ბრალდებული ხასიმოტო*) გაზეთ „ტაიო დაინიპონში" 1942 წლის 5 იანვარს სწერდა, რომ „დიდი აღმოსავლეთი აზიის სფეროში შევა" სხვა ტერიტორიათა შორის აგრეთვე სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთი. იაპონიის ყოფილმა ელჩმა გერმანიაში, ბრალდებულმა ოსიმამ 1943 წლის 18 აპრილს რიბენტროპს განუცხადა:

„...ერთი რამ უდავოა, რომ უკვე 20 წელია, რაც გენერალური შტაბის ყველა გეგმა მუშავდებოდა რუსეთზე შესატევად..."

1928-1931 წლებში იაპონიის გენერალურ შტაბს ჰქონდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის შეტევითი გეგმები, რომლებიც დაშიფრული იყო „ოცუს" სახელწოდებით და რომლებიც ითვალისწინებდნენ საბჭოთა ზღვისპირეთის დაპყრობას, პლაცდარმებად მანჯურიისა და კორეის ტერიტორიების გამოყენებას.

მოწმემ გენერალ-ლეიტენანტმა მიაკემ, კვანტუნის არმიის შტაბის ყოფილმა უფროსმა (1928-1932 წლები), აჩვენა:

„იმ ოპერაციათა გეგმა, რომლებსაც უნდა გამოეწვია მანჯურიის ოკუპაცია, სსრ კავშირის წინააღმდეგ იაპონიის ჯარების ოპერაციის საერთო გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა".

1931 წლის სექტემბერში იაპონელმა აგრესორებმა მანჯურია დაიპყრეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის პლაცდარმად მომზადებას საბჭოთა ტერიტორიაზე შესატევად.

ბრალდებულმა ხიროტამ მოსკოვში იაპონიის ელჩად ყოფნის დროს 1931 წელს იაპონიის გენერალური შტაბის უფროსს გადასცა თავისი წინადადებანი.

„...ვაწარმოოთ მტკიცე პოლიტიკა სსრ კავშირის მიმართ და მზად ვიყოთ სსრ კავშირის წინააღმდეგ ყოველ წუთს საომრად",—

იმ მიზნით, რათა „ხელში ჩავიგდოთ შორეული აღმოსავლეთი, ციმბირი"*).

სამხედრო ატაშემ სსრ კავშირში კასახარამ იაპონიის გენერალურ შტაბს 1931 წლის 29 მარტს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც სწერდა:

„ჩვენთვის საკმაო არ არის საბჭოთა კავშირის დამარცხება ბრძოლაში, ჩვენ ომი უნდა ვაწარმოოთ შესამუსრავად"...

1931 წელს საბჭოთა მთავრობამ იაპონიის მთავრობას მიმართა წინადადებით დადებულიყო პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ. იაპონიის მთავრობამ 1932 წლის 13 დეკემბერს უარით უპასუხა. სამშვიდობო პოლიტიკის ერთგულმა საბჭოთა მთავრობამ კვლავ დაადასტურა თავისი წინადადება პაქტის დადების შესახებ 1933 წლის 4 იანვრის ნოტით და აღნიშნა, რომ წინანდელი წინადადება „არ იყო გამოწვეული მომენტის მოსაზრებებით და გამომდინარეობს მთელი მისი მშვიდობიანი პოლიტიკიდან, ამიტომ ძალაში რჩება შემდეგშიც". იაპონიის მმართველმა წრეებმა ეს მეორე წინადადებაც უარჰყვეს.

იაპონიის იმპერიალისტები, რომლებმაც უარი სთქვეს სსრ კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადებაზე, განაგრძობდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადებას.

სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის 1939 წლის გეგმის შესახებ იაპონიის გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკმა სეძიმამ აჩვენა:

„იაპონიის სარდლობის ძირითადი განზრახვა ის იყო, რომ აღმოსავლეთ მანჯურიაში თავი მოეყარა მთავარი სამხედრო ძალებისათვის და... დაეპყრო ვოროშილოვი, ვლადივოსტოკი და იმანი, ხოლო შემდეგ—ხაბაროვსკი, ბლაგოვეშჩენსკი და კუიბიშევკა".

1941 წლის გეგმით, რაც შედგენილი იყო სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე, როგორც იმავე სეძიმას ჩვენებიდან სჩანს, დასახული იყო:

„ომის პირველ ეტაპზე დაეპყროთ ქალაქები ვოროშილოვი, ვლადივოსტოკი, ბლაგოვეშჩენსკი, იმანი, კუიბიშევკა და რუხლოვოს რაიონი. მეორე ეტაპზე—ჩრდილო სახალინი, კამჩატკის პეტროპავლოვსკი, ამურის ნიკოლაევსკი, კომსომოლსკი, გავანი სოვეტსკაია".

შემდეგ ამხ. ვასილიევი ჩერდება იაპონიის მთავრობის ღონისძიებებზე შეიარაღებული ძალების რაოდენობის, და კერძოდ, კვანტუნის არმიის რაოდენობის გადიდების დარგში. კვანტუნის არმიის რიცხობრივი შემადგენლობა 1932-დან 1937 წლამდე გადიდებულ იქნა ხუთჯერ და უფრო მეტად. 1943 წლისათვის არმიაში ითვლებოდა 1,100.000 კაცი. ტანკების რაოდენობა, 1937 წელთან შედარებით, ერთიორად გადიდდა, ხოლო თვითმფრინავებისა და არტილერიის —ერთისამად და უფრო მეტად. ამ პერიოდის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

---

*) ტოგო — იაპონიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, კაია — იაპონიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, მუტო — იაპონიის სამხედრო სამინისტროს სამხედრო საქმეთა დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, სატო — იმავე თანამდებობისა, ტოძიო — იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

*) ხასიმოტო—ახალგაზრდობის ფაშისტური მოძრაობის ორგანიზატორი იაპონიაში, იაპონიის ექსპანსიის ერთ-ერთი „იდეოლოგი".

*) ხიროტა—იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი.

ლეო. ქიაჩელი

ჯოგოს მამა*

თავი მეთორმეტე

ერთად ერთი გზა, რომელიც სოფელ სოუს გარეშე ქვეყნებთან აკავშირებს არის უხსოვარი დროიდან ცნობილი სანჭაროს ბილიკი, — ზამთრობით დახურული, ხოლო სხვა დროს სავალად ძნელი და საშიში.

იგი შავი ზღვის ნაპირიდან იწყება მდინარე გუმისთის შესართავთან, ქალაქ სოხუმის ჩრდილოეთით. აქედან ამ მდინარის ვიწრო და ქარაფებიან კალაპოტს ასდევს მაღალი მთებისაკენ, ვიდრე ბზიფის ქვედამდე, სადაც გუმისთის კალაპოტს სტოვებს და აჭავჭარის უღელტეხილით ბზიფის ქედს გადასჭრის.

ბზიფის ხეობაში დაშვებული, გაივლის ამ ხეობის განაპირა სოფელს სოუს და, დასავლეთი კავკასიონის მთაგრეხილისაკენ პირშექცეული, რამდენსამე ტოტს ისხამს, ნადინარი წყლის კვლებივით კლდეებსა და ღრეებში მიმოფანტულს. ამათი ასავალ-დასავალი ნადირთა გარდა ამ მხარის ზოგიერთმა გამოცდილმა მონადირემ ან ბზიფისა და კავკასიონის ძველმა მწყემსებმა თუ იციან მხოლოდ.

მთავარი ტოტი კი ბოლომდე სანჭაროს ბილიკის სახელს ინარჩუნებს და კავკასიონის ყველაზე უფრო ადვილად მისადგომ სანჭაროს უღელტეხილს უპირისპირებს, გადალახავს მას და ყუბანის მხარეში იკარგება.

საკუთრივ სოფელ სოუდან შავი ზღვის პირამდე სანჭაროს ბილიკის გავლას ჩვეულებრივად ორ დღეს ანდომებენ ქვეითი მგზავრები. პირუკუც ასეა, რადგანაც აღმართი და დაღმართი ამ გზისა სამგზავროდ თანაბრად სახიფათოა. ცხენოსნები კი, მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავს არიდებენ ბილიკს. მისი ციცაბოები და პიტალოები მთის ტერფგასრ ცხენებსაც კი აფრთხობენ გაუვალობით.

მაგრამ მთის კაცსა და მის ჯონდოზე არ ვრცელდებოდა ის შიში, რომლის გამო ცხენოსანი მგზავრები სანჭაროს ბილიკს თავს არიდებდნენ. ისინი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, მთის კაცი ჩამოქვეითებული ამ ბილიკზე არავის უნახავს. არც არავის გაუგონია, რომ ჯონდოს იგი სოუდან სოხუმს ერთ დღეში არ ჩაეყვანოს.

მაგრამ დღეს ბზიფის ხეობიდან აჭავჭარაზე ასულმა მთის კაცმა ცხადად დაინახა, რომ უფრო მეტი დაგვიანებოდა, ვინემ სოუში, გამგზავრების წინ ეგონა. ამდენ ხანს ნისლშეფარებული მზე მან დღეს პირველად აჭავჭარაზე დაინახა. დაინახა და გულში ეჭვიც აღეძრა: შეუძლებლად მოეჩვენა წკვარამებით დასერილი გუმისთის ხეობის გავლა დღის დალევამდე.

შესდგა.

ჩვეულებრივად სოხუმს მიმავალ მთის კაცს დრო ისე ჰქონდა განაწილებული, რომ გათენებამდე სახლიდან წამოსულს ყოველთვის აქ, აჭავჭარაზე, შემოათენდებოდა ხოლმე. მძიმე აღმართის ავლის შემდეგ ცხენს აქ შეასვენებდა და აკაზმულობას ხელახლა გაუსინჯავდა, რადგანაც სწორედ აქედან იწყებოდა სახიფათო და გაუთავებელი გუმისთის თავდაღმართი.

მზის ამოსვლას დაელოდებოდა. ხევებში ჩაწოლილი ნისლის გადაყრას მოუცდიდა. გზას ისე არ განაგრძობდა, რომ ერთხანს არ დამტკბარიყო აჭავჭარიდან დანახული ახალამოსული მზის პირველი განავარდებით ცის შორეულ კაბადონზე.

მზის ახალგახელილი თვალების ჯერ კიდევ გაუბედავი ბრიალი ძველ ნამწყემსარისა და ნამეჯოგარს მუდამ ისე ეჩვენებოდა, თითქოს მზე კი არ იყო ცის ლურჯ ტატნობზე რომ თამაშობდა. ისე წარმოიდგენდა თითქოს მისი საყვარელი ჯოგის მშვენება, პირთეთრა და თვალებგიშერა ბოჩოლა ყოფილიყო, რომელიც ვითომ შორიდან მას თავს აწონებდა, მწვანე მდელოზე ლაღი კუნტრუშით განავარდებული.

და აქედან იყო, რომ იწყებოდა ფიქრზე უმაღლესი შლა მთის კაცის დაუვიწყარი მოგონებების, რომლებიც მას აჭავჭარასთან აკავშირებდნენ, და სანჭაროს ბილიკის ჩასწვრივ მიჰყვებოდნენ, ვიდრე დავაკებამდე.

აჭავჭარა იყო მისი ვაჟკაცობისა და მოწიფულობის პირველი დამრწევი აკვანი. აქ მას სწორი არ ჰყოლია არც ღონეში, არც სიმარჯვეში.

ვაჟკაცისა და უშიშარი ცხენოსნის სახელიც პირველად აქ მოუხვეჭნია. სიყრმიდანვე ნადირობით გატაცებულს, ვინ დასთვლის, რამდენი ირმები, ჯიხვი და არჩვი მოუკლავს, ან შურთხები და იშვიათი მთის კაკბები დაუხოცნია!

ნადირთა გაუვალ ბილიკზე ანაზდად შემოყრილ დათვს რამდენჯერ ხელდახელ შებმია ისე, რომ განზრახ იარაღი არ უხმარია: მხეცთან ჭიდილში მხარმკლავის ძალა და გულის სიმაგრე გამოუცდია, ტანის სიმარდე გაუსინჯავს და თვალის სისწორე შეუმოწმებია. როცა მოუკლავს, მხარზე გადაუდვია ვეება ლეში, კლდეებსა და წავარნებში უტარებია, როგორც ნაფოტი, და ბანაკში ასე მოუტანია.

მაგრამ დღეს ისედაც დაგვიანებულ მთის კაცს მოგონებებისათვის არ ეცალა, — ნაჩვევი ახალგათენებულის მაგიერ მას თითქმის სრული თავისი ძლევამოსილებით აღჭურვილი შუადღე დახვდა აჭავჭარაზე.

სამხრეთის მოსაქცევს მიწევნილი მზე უკვე აღარ ჰგავდა მთის კაცის საყვარელ ბოჩოლას, რომელიც მას წარსულის მოსაგონებლად განაწყობდა. იგი მრისხანე და შეუპოვარი გამხდარიყო, მოელვარე ცეცხლის შუბები ოთხივ კუთხით შეემართნა და ცის ლაჟვარდს თელვითა და გლეჯვით მიარღვევდა, სრული მეფური შეუვალობის გამომჟღავნებით.

მთის კაცსაც მყისვე თავისი შუბები აძგერა, როგორც კი მაღლა აჭავჭარაზე ამოსული დაინახა.

— დადექ, — ვითომ უთხრა ქადილით, — ხომ ხედავ, დაგასწარი. უკან დაბრუნდი, გირჩევნიაო.

მთის კაცთან ერთად თითქოს მისმა ძველმა ნაცნობმა მთებმაც გაიგონეს მზის ეს მედიდური მუქარა, ყურები დასცქვიტეს, ქედზე გადამდგარ მხედარსა და მის ჯონდოს ცნობის მოყვარეობით შემოაცქერდნენ შორი-შორიდან:

— აბა, ახლა დავინახავთ, თუ არ მოხუცებულა ჩვენი ძველი მეგობარი მთის კაცი, და მისი სახელგანთქმული ჯონდოც ნამდვილად რაც ცხენი ბრძანდებაო.

პირქუშად იჯდა შეფიქრიანებული მთის კაცი სიპიან ჩამოსაფალთან დამდგარ ჯონდოზე. ცისკენ აპყრობილი ოდნავ მოჭუტული თვალები მზის ელვარებისათვის თამამად გაესწორებინა. პირისახე შეეკრა, რომელზედაც თავისთავისადმი მტკიცე რწმენა გამოხატოდა, ამაყურ განწყობილებასთან შეთანხმებული.

როგორც ყოველთვის საგარეოდ, ახლაც შინდისფერი ჩოხა ეცვა, წელზე ვიწროდ შემოსხეპილი, სადა, შავ ქამარ-ხანჯალ შემორტყმული. მაღალი მკერდი წამოეზნიქა. მძიმე და განიერი მხარბეჭი ისე მოემარჯვნა, თითქოს საშიში მტრის დასახვედრად მომზადებულაო.

მაგრამ იმაზე კი არ იყო დაფიქრებული მთის კაცი, გზა განეგრძო თუ უკან დაბრუნებულიყო. იმას ითვალისწინებდა და ანგარიშობდა მხოლოდ, სად შეიძლებოდა გზის მოჭრა, ალაგ-ალაგ ნადირის ნავალის გამოყენება და მანძილის ამნაირი შემოკლებით დაკარგული დროს ანაზღაურება.

ეტყობოდა, რასაც ანგარიშობდა, ჰკუაში უჯდებოდა.

ბოლოს თავის ერთგულ ჯონდოსაც კისერზე ხელი წაუთათუნა, ჰკითხა:

— შენ რას იტყვი, ჯონდო? ხომ არ დავმარცხდებით, მზეს რომ გავეჯიბროთ?

მაგრამ ჯონდოსთვის ეს საკითხი არ არსებობდა: მას ერთი წამითაც საეჭვოდ არ მიუმჩნევია გზის გაგრძელება. მთის კიდეზე გადამდგარი თავს ძლივს იკავებდა, რომ ჩვეული მორჩილება არ დაერღვია. უქმად დგომა მოთმინებას უკარგავდა. ნესტოებს ბერავდა და ფრუტუნებდა. ლაგმის პირს ახრამუნებდა, ბორგავდა და წამდაუწუმ იზერგნებოდა, ფეხის ასადგმელად გამზადებული.

მთის კაცი კარგად იცნობდა თავისი გამოზრდილი და გახედნილი ცხენის ჩვევასა და ხასიათს. ერთიც და მეორეც მისგან ჰქონდა ჩანერგილი. იცოდა, რომ ჯონდოს განსაკუთრებულ ძალასა და ხალისს მატებდა ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევა,—გზა იქნებოდა ეს, ჭენება თუ მკერდით ჭიდილი შეჯიბრებაში.

იმიტომ ჯავრობდა ახლა, რომ უთუოდ ეჭვი აწუხებდა, ჩემი უშიშარი მხედარი ხომ არ ყოყმანობსო, რაც მისთვის შეუფერებლად მიაჩნდა.

და, როცა ჯონდომ ერთხელ კიდევ ისე მაგრად დაჰქაჩა სადავე, რომ მხედარს კინაღამ ხელიდან გამოჰგლიჯა, მთის კაცმა ვითომ საბოლოოდ გადასწყვიტა გზის გაგრძელება.

— წინ, ჩემო რაშოო,—შესძახა წამქეზებელი ხმით ჯონდოს და სადავეც მიუშვა.

მოსწყდა თავის ადგილს ჯონდო და ბილიკზე ჩხრიალით დაეშვა.

* * *

მთის კაცს გამალებული მიჰყავდა თავისი ცხენი. თავბრუდამხვევ დაღმართებსაც არ ერიდებოდა. სჩანდა, ყველაზე უფრო დროს აფასებდა:

ხშირად ცისკენ იმზირებოდა. მზის განვლილ მანძილს ცაზე უკან მოტოვებული გზის სიგრძეს უფარდებდა, თავის ფიქრით, თითქოს მართლა ცის მნათობს სვლაში ეჯიბრებაო.

დღე ისე ილეოდა, რომ აჭავჭარის უღელტეხილიდან გუმისთის ხეობაში თავქვე დაშვებულ ჯონდოს ერთხელაც არ შეუსვენია, ისეთი თავგანწირვით ჩამოჰყავდა ბილიკზე თავისი მხედარი.

წვრილი გზა სად ციცაბოებზე დაჰკიდებოდა თოკივით, სად ტყიან ფერდზე დაცურდებოდა და ხშირი ხეების ნიადაგმორღვეულ, დაღლარჭნილ ფესვებს შორის იკარგებოდა. ხან ლორლოვან ქანებს შუა მიიკლაკნებოდა, მოლექილი ნაღვარევის კვლებში უჩინარდებოდა. ერთგან რომ მდინარის ნაპირის მაღალ ქარაფებს თავს მოექცეოდა, მეორეგან ძირს უფსკრულში ვარდებოდა, თავაწყვეტილ მდინარეზე გადადიოდა და ისევ თავქვე ეშვებოდა დაუსრულებლად.

როცა საჭირო იყო, ჯონდო გოგვით სდგამდა ნაბიჯს, მთის კაცის ნაცად ხელში დაჭერილ სადავეს მინდობილი. ტანის ყველა კუნთი დაეჭიმა. რაც კი სიფრთხილის გრძნობა გააჩნდა, წვრილად სხმულ, ძვალმაგარ წვივებსა და ღვედივით მოქნილ საოლავებში გადაეტანა. ტერფებში მგრძნობელობის საკვირველი ძალა შემოეკრიბა: ისე შეუცდომლად არჩევდა საყრდენ ადგილს საცდომელისაგან, თითქოს ნიადაგს გარშემო ადამიანის ხელის თითებით სინჯავსო.

ის-იყო, უკანასკნელი თავდაღმართიც გათავდა. მთის კაცმა და მისმა ჯონდომ სოხუმის ფართო და სწორი გზატკეცილისკენ გადასახვევ მოსაქცევს მიაღწიეს.

მზე ჯერ კიდევ არ იყო ჩასული. იგი დასავლეთის ცის კიდურისა და ზღვის ზედაპირს შუა ეკიდა. ერთი მტკაველისოდენა მანძილზედაც არ იქნებოდა ზღვიდან დაშორებული, მაგრამ სრულად ჩასვლა რომ ვერ მოესწრო, სანამ მთის კაცი საშიშ ადგილებს მშვიდობით გაივლიდა, თითქოს სირცხვილის სიწითლე შეჰკიდებოდა. დაღლილ თვალს ისე ახამხამებდა, ვითომ მომდგარ ცრემლის გადმოსაყრელად ემზადებაო: გულდაწყვეტილი სჩანდა მზე, რომ მთის კაცთან შეჯიბრებაში დამარცხდა და მისი ამდილანდელი ქადილი, ვითომ დაგაგვიანდა და ჩემს ჩასვლამდე სამშვიდობოს ვერ გახვალო, სულ ტყუილი და ამაო გამოდგა.

ეს რომ დაინახა მთის კაცმა, სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა. მაგრამ ამის მეტით არაფრით არ აღუნიშნავს პირისპირ ჩამავალ მნათობთან შეჯიბრებაში თავისი უდავო გამარჯვება.

რაც უნდა მომხდარიყო, მთის კაცისათვის მზე მაინც მზე იყო.

გზატკეცილზე რომ გავიდა, ცხენი გზის პირას დააყენა. ჩამოქვეითდა, ერთი ნაბიჯით შორს დაუდგა აქაფებულ ჯონდოს. თავით ბოლომდე თვალი შეავლო. მერე ისევ მიეახლა და ოთხივე ფეხი დაკვირვებით გაუსინჯა, ხომ არ დაუშავდა რომელიმე, ან ნალი თუ მოძვრაო. თვალებზე ოფლი შეუწმინდა, ყურები დაუზილა დაქაჩვით. მოკაზმულობა შეუსწორა, მოჭერილი ძოსართავები შეუმსუბუქა.

— ყველაფერი რიგზეა, ჩემო რაინდო!—ეუბნებოდა თან ალერსით საყვარელ ცხენს, — ჩემთვის უნაგირს არ ულალატნია, ხოლო შენთვის — მუხლებს! ტყუილა კი არ ამბობენ მთაში, ჯონდოს წვივები ირმისა აქვსო. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო: შენც ამავე მთებში ხარ დაბადებული და გაზრდილი, აქვე გაწრთვნილი და გახედნილი! რით გჯობია ირემი?

ჯონდო ხან სწურავდა ყურებს, ხან კი შლიდა მორიგეობით. წამდაუწუმ თავს აკანტურებდა ნიშნად თანხმობისა. უხაროდა, რომ საყვარელი პატრონის მშვიდი, ბოხი და მოალერსე ხმა ესმოდა. თავი მოსწონდა მისი ქებისაგან, რომელიც დამსახურებულად მიაჩნდა.

საქმესთან ერთად საუბარსაც მორჩა მთის კაცი და ჯონდოს ისევ ზურგზე მოექცა, მათრახის ტარით ჩოხის უკანა კალთა უნაგირის ბალიშზე შეიკეცა, გვერდებისა მუხლებზე გადაიფარა.

სამშვიდობოს გამოსული გზას შენელებული ნაბიჯით გაუდგა.

(გაგრძელება იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 14, № 17, № 20, № 22, № 25, № 30, № 32.

მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა ტოკიოს პროცესზე

(დასასრული)

განმავლობაში გადიდებულ იქნა იაპონიის არმიის ძალებიც კორეაში.

გაჰყავდათ ახალი რკინიგზები და საავტომობილო გზები, რომელთა მეტ ნაწილს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ მიემართებოდა. აეროდრომებისა და ძირსდასაშვები მოედნების საერთო რაოდენობა მანჯურიაში 1946 წელს 287 ერთეულს აღწევდა. კორეაში 1931 წელს იყო 8 აეროდრომი და ძირსდასაშვები მოედანი, ხოლო 1941 წელს—53. ბევრი სათევზაო ნავსადგური კორეასა და მანჯურიაში გადაქცეული იყო იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზებად.

იაპონელი იმპერიალისტები აქტიურად ეწეოდნენ მანჯურიის მოსახლეობის იდეოლოგიურ და სამხედრო მომზადებას სსრ კავშირის წინააღმდეგ დამპყრობლური ომისათვის. ამ მიზნებს ემსახურებოდა კვანტუნის არმიის მიერ შექმნილი და კონტროლირებული საზოგადოება „კიოვაკაი".

მოწმემ გენერალმა მიაკემ, რომელიც ამ საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, აჩვენა:

„ორგანიზაცია საომარ ვითარებაში სამოქმედოდ ქმნიდა სპეციალურ მებრძოლ ჯგუფებს, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ აქტიური საქმიანობისათვის წითელი არმიის ზურგში".

იაპონელი იმპერიალისტები სისტემატურად ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას სსრ კავშირის წინააღმდეგ.

1928 წელს თვალსაჩინო მზვერავმა კანდამ (შემდეგში გენერალ-ლეიტენანტმა და გენერალური შტაბის რუსული განყოფილების უფროსმა) იაპონიის გენერალურ შტაბს წარუდგინა მოხსენება, რომლითაც გათვალისწინებული იყო: ეროვნული მტრობის გაჩაღება საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის, დისციპლინის გახრწნა არმიაში, მისი მობილიზაციის ჩაშლა, სამხედრო საწარმოთა მუშაობის დეზორგანიზაცია, ტრანსპორტის, განსაკუთრებით ციმბირის რკინიგზის დანგრევა. ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მხედველობაში ჰქონდათ სსრ კავშირის მეზობელ სახელმწიფოთა წაქეზება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულ სამხედრო და ეკონომიურ ღონისძიებათა გასატარებლად.

მოხსენების დამატებაში აღნიშნულია ღონისძიებანი საზღვარგარეთ თეთრ ემიგრანტთა ორგანიზაციების შესაქმნელად სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრული საქმიანობისათვის.

1929 წლის აპრილში იაპონიის გენერალური შტაბის მე-2 განყოფილების ყოფილმა უფროსმა, ბრალდებულმა მაცუიმ ბერლინში ჩაატარა ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში იაპონიის სამხედრო ატაშეთა თათბირი, რომელზეც განიხილავდნენ საკითხს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის გაჩაღების შესახებ.

1932 წლით დაწყებული, ხარბინში და მანჯურიის სხვა ქალაქებში იაპონიის სამხედრო მისიებმა შექმნეს თეთრ ემიგრანტთა ორგანიზაციები, რომლებიც 1934 წლის დეკემბერში გაერთიანდნენ „რუსეთის ემიგრანტების საქმეთა ბიუროში".

იაპონიის მილიტარისტული ხროვა სისტემატურად აწყობდა საბოტაჟის, დივერსიების აქტებს ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზაზე მანჯურიაში, რათა საბჭოთა კავშირი იძულებინა უარი ეთქვა რკინიგზისადმი თავის უფლებებზე.

მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ იაპონელ იმპერიალისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობა ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზაზე უფრო გაძლიერდა და სრულიად შეუძლებელი გახადა გზის ნორმალური ექსპლოატაცია, ამასთან ყოველგვარი პროვოკაციების შედეგად იქმნებოდა აშკარა საფრთხე მშვიდობიანობისათვის შორეულ აღმოსავლეთში. ამან აიძულა საბჭოთა მთავრობა დაესვა საკითხი ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზის გაყიდვის შესახებ.

საზღვარი ეგრეთწოდებულ მანჯოუ-გოსა და საბჭოთა კავშირს შორის იაპონელთა მიერ მანჯურიის დაპყრობის მომენტიდან გადაიქცა იმ ადგილად, სადაც არ სწყდებოდა შეტაკებანი, რომლებსაც იაპონელები პროვოკაციულად იწვევდნენ.

1941-1943 წლების პერიოდში საბჭოთა საზღვრის დარღვევათა რაოდენობა წლითიწლობით იზრდებოდა.

იაპონელ იმპერიალისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა იმ წლებში, რომლებიც წინ უსწრებდნენ მეორე მსოფლიო ომს.

ბრალდებულ ოსიმას (იაპონიის ყოფილი ელჩი გერმანიაში. — რედ.) და ჰიმლერს შორის 1939 წლის 31 იანვარს გამართული საუბრის ჩანაწერიდან, რაც ტრიბუნალს წარმოუდგინა, სჩანს, რომ ოსიმა აქტიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა სსრ კავშირის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჰგზავნიდა ტერორისტებს საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ჩასადენად. 1941 წლის აპრილში საბჭოთა კავშირთან ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების დადების შემდეგ იაპონელ იმპერიალისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობა სსრ კავშირის წინააღმდეგ არათუ არ შეწყვეტილა, არამედ კიდევ გაძლიერდა.

1943 წლის ივნისში ხარბინში ჩატარებული იყო კვანტუნის არმიის საინფორმაციო განყოფილების (რომელსაც წინათ ხარბინის სამხედრო მისია ერქვა) თათბირი. ამ თათბირის ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „თეთრგვარდიელები, დამოუკიდებლად მათი სქესისა და სურვილისა, ფართოდ უნდა მოვიზიდოთ ომისათვის სსრ კავშირის წინააღმდეგ და განსაკუთრებით ფარული ომისათვის".

1938 წელს იაპონელი იმპერიალისტები თავს დაესხნენ სსრ კავშირს ხასანის ტბის რაიონში, სსრ კავშირის, მანჯურიისა და კორეის საზღვრების შესაყარზე, ვლადივოსტოკის გარემოცვის მიზნით.

1938 წლის 29 ივლისს იაპონელთა ჭარბმა ძალებმა იერიში მიიტანეს მაღლობ ბეზიმიანაიაზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. 30 ივლისს ღამით იაპონელებმა უკვე ქვეითი პოლკის ძალებით იერიში მიიტანეს მაღლობ ზაოზერნაიაზე. შემდეგ იაპონელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს თავიანთი მე-19 ქვეითი დივიზია, რომელიც გაძლიერებული იყო მძიმე არტილერიითა და 2.000 ქვეითი ჯარისკაცით. იაპონელთა არტილერიამ საბჭოთა ტერიტორიას 12.000 ყუმბარა ესროლა. საბჭოთა არმიის ნაწილების ამოქმედების შედეგად 1938 წლის 11 აგვისტოს იაპონელები განადგურებულ და სსრ კავშირის ტერიტორიიდან განდევნილ იქნენ.

1939 წელს იაპონელმა იმპერიალისტებმა თავიანთი თავდასხმა გაიმეორეს უკვე სხვა ადგილზე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაიონში, მდინარე ხალხინ-გოლის მახლობლად, იმ მიზნით, რომ შემოჭრილიყვნენ საბჭოთა ტერიტორიაზე, გადაეჭრათ ციმბირის რკინიგზის მაგისტრალი და მოეწყვიტათ საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი.

იაპონიის სამხედრო ხროვა, რომელიც სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის გეგმებს იმუშავებდა, მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მონღოლეთის პლაცდარმს.

1934 წლის 28 მარტს ბრალდებული იტაგაკი, მაშინ კვანტუნის არმიის შტაბის უფროსი, არიტასთან*) საუბარში ამბობდა: „გარემონღოლეთი თუ იაპონიასა და მანჯურიასთან იქნება შეერთებული, საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის უშიშროებას ძლიერი ლახვარი ჩაეცემა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სსრ კავშირის გავლენის განდევნა შორეულ აღმოსავლეთიდან თითქმის უბრძოლველად. ამიტომ არმია გეგმავს იაპონიისა და მანჯურიის გავლენის გავრცელებას გარემონღოლეთზე მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით".

1936 წლის 12 მარტს საბჭოთა კავშირმა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ოქმს ურთიერთდახმარების შესახებ.

ამრიგად, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე აგრესიულ ომს რომ აჩაღებდა, იაპონიის იმპერიალისტურმა ხროვამ კარგად იცოდა, რომ ეს საომარი მოქმედება იმავე დროს სსრ კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედება იქნებოდა. საომარი მოქმედების დაწყების საბაბად იაპონელმა მილიტარისტებმა ის გამოიყენეს, რომ პრეტენზია განაცხადეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის უბანზე მდინარე ხალხინ-გოლის აღმოსავლეთ ნაპირზე და თავისი პრეტენზია იმით დაასაბუთეს, რომ საზღვარი თითქოს გადის არა მდინარის აღმოსავლეთით, არამედ ზედ მდინარეზე.

ამის დასადასტურებლად მათ 1935 წელს შეთითხნეს ყალბი რუკა, თუმცა მანამდე საზღვრის ხაზს ამ რაიონში რუკებზე თვითონვე სწორად აჩვენებდნენ.

მაგრამ 1935 წელს, სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიას რომ გეგმავდნენ, იაპონელმა იმპერიალისტებმა საზღვრის ხაზი თვითნებურად გადაიტანეს მდინარის აღმოსავლეთიდან ზედ მდინარე ხალხინ-გოლზე. ამრიგად, იაპონელი აგრესორები შეეცადნენ მონღოლეთის ტერიტორიის ნაწილი დაესახათ ვითომდა მანჯურიის კუთვნილებად, რაც მათთვის აგრესიის საბაბი უნდა გამხდარიყო.

1939 წლის 11 მაისს იაპონელთა და ბარგუტთა 300 კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი ნაწილი სახელმწიფო საზღვარს გადავიდა და თავს დაესხა მონღოლეთის სასაზღვრო საგუშაგოს. დაცვის მოწმეებმაც კი აღიარეს, რომ ხალხინ-გოლზე წარმოებული ბრძოლები დიდი მასშტაბის საომარი მოქმედება იყო და არა „სასაზღვრო ინციდენტი", როგორც დაცვა ახლა ცდილობს დასახოს იაპონიის აგრესია ხალხინ-გოლზე.

საომარი მოქმედება 1939 წლის მაისიდან სექტემბრამდე გრძელდებოდა და შეწყვეტილ იქნა იაპონია-მანჯურიის ჯარების მხოლოდ სრული განადგურების შემდეგ. მონღოლეთისა და საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს იაპონია-მანჯურიის ძალები და სახელმწიფო საზღვრის ხაზზე შეჩერდნენ.

საბჭოთა კავშირის მიმართ აგრესიული პოლიტიკის გაძლიერებას ხელი შეუწყო იაპონიის მიერ ჰიტლერულ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიასთან შეთქმულების მოწყობამ. ეს შეთქმულება ჩამოყალიბებულ იქნა 1936 წლის 25 ნოემბერს იაპონიასა და გერმანიას შორის ეგრეთწოდებული „ანტიკომინტერნული პაქტის" დადებით, რომელსაც 1937 წელს იტალიაც შეუერთდა. ეს პაქტი პირველ რიგში მიმართული იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ. იგი შევსებულ იქნა სპეციალური საიდუმლო შეთანხმებით, რომლის პირველი მუხლი ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ ღონისძიებებს.

გერმანიის, იტალიისა და იაპონიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის საბოლოო ჩამოყალიბება და აგრესორ სახელმწიფოთა შეთქმულების ახალი ეტაპი იყო სამი სახელმწიფოს პაქტის დადება, რომელიც აგრეთვე მიმართული იყო პირველ რიგში სსრ კავშირის წინააღმდეგ.

პრინცი კონოე თავის მემუარებში სწერს: „ეს იყო გეგმა, რომლითაც სამმხრივი ანტიკომინტერნული პაქტი, რომელიც მაშინ ძალაში იყო, უნდა გადაქცეულიყო ძირითადად სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო კავშირად"

1940 წლის 17 სექტემბერს ხელმოწერილ იქნა სამი სახელმწიფოს პაქტი. 1941 წლის 22 ივნისს, ე. ი. ერთ წელიწადზე ნაკლები ხნის შემდეგ პაქტის დადებიდან, სსრ კავშირს ვერაგულად დაესხნენ თავს. ეს იყო თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ აგრესორთა საერთო შეთქმულების ნაწილი. ამასთან გერმანია, იტალია და მათი სატელიტები უშუალოდ მოქმედებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხოლო იაპონია აქტიურად ასრულებდა სსრ კავშირის წინააღმდეგ შეთქმულებით ნაკისრ თავის ვალდებულებებს.

რიბენტროპმა ოსიმასთან საუბარში 1941 წლის 23 თებერვალს განუცხადა მას, რომ გერმანიას 1941 წლის გაზაფხულზე ეყოლება 240 დივიზია და გააცნო პერსპექტივა „გერმანია-რუსეთის კონფლიქტისა", რომელსაც, მისი სიტყვით, „... შედეგად მოჰყვებოდა გერმანელთა გიგანტური გამარჯვება და საბჭოთა რეჟიმის დასასრულის მომასწავებელი იქნებოდა".

მაცუოკასთან საუბარში 1941 წლის 27 მარტს რიბენტროპმა განუცხადა: „გერმანიას აღმოსავლეთში ჰყავს ჯარები, რომლებიც ყოველ დროს მზად არიან დაიძრან რუსეთის წინააღმდეგ, და თუ რუსეთი გერმანიისადმი მტრულ პოზიციას დაიკავებს, ფიურერი გაანადგურებს რუსეთს. გერმანიაში დარწმუნებული არიან, რომ რუსეთთან ომი რუსეთის არმიების საბოლოო განადგურებითა და სახელმწიფო წყობილების დამსხვრევით დამთავრდება".

იმავე დღეს მაცუოკასთან საუბარში, რომელსაც ოსიმა, ოტი და რიბენტროპი ესწრებოდნენ, ჰიტლერმა დაადასტურა ეს.

მაცუოკამ აღუთქვა გერმანიის მთავრობას, რომ იაპონია შეუერთდებოდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომს. რიბენტროპთან საუბარში 1941 წლის 29 მარტს მაცუოკამ განაცხადა: „იაპონია მუდამ ლოიალური მოკავშირე იყო, რომელიც მთლიანად ახმარს თავის ძალებს საერთო საქმეს".

1941 წლის 13 აპრილს იაპონიის მთავრობამ საბჭოთა კავშირთან დასდო პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ. ეს პაქტი დადებული იყო ვერაგული მიზნით, ვინაიდან იაპონიის მთავრობა მის შესრულებას არ აპირებდა, რასაც შემდეგი ფაქტები მოწმობენ.

1941 წლის 5 მაისის დეპეშაში გერმანიის ტოკიოელი ელჩისადმი რიბენტროპმა დაიმოწმა მაცუოკას განცხადება: „იაპონიის ვერცერთი პრემიერ-მინისტრი ან საგარეო საქმეთა მინისტრი ვერ აიძულებს იაპონიას ნეიტრალური დარჩეს, თუ გერმანიასა და სსრ კავშირს შორის კონფლიქტი ჩამოვარდება. ამ შემთხვევაში იაპონია, ბუნებრივია, იძულებული გახდება დაესხას თავს რუსეთს გერმანიის მხარეზე. აქ საქმეს ვერ უშველის ვერავითარი პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ".

1941 წლის 20 მაისის დეპეშაში ოსიმა აუწყებდა მაცუოკას: „გერმანიის მთავრობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საგარეო საქმეთა მინისტრ მაცუოკას განცხადებას, რომელიც მან ოტს გაუკეთა იმის შესახებ, რომ იაპონია სსრ კავშირის წინააღმდეგ იომებს იმ შემთხვევაში, თუ რუსეთ-გერმანიის ომი დაიწყება".

სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის ცოტა ხნის შემდეგ მაცუოკამ სსრ კავშირის ელჩს იაპონიაში განუცხადა: „იაპონიის საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს სამთა პაქტი, და თუ ეს ომი და ნეიტრალიტეტის პაქტი წინააღმდეგი იქნებიან ამ საფუძვლისა და სამთა პაქტისა, ნეიტრალიტეტის პაქტს ძალა არ ექნება".

საბჭოთა კავშირის მიმართ იაპონიის პოლიტიკის არსი განსაზღვრულ იქნა საიდუმლო გადაწყვეტილებაში, რომელიც იმპერატორის მონაწილეობით წარმოებულ იაპონიის სახელმწიფო მოღვაწეების თათბირზე 1941 წლის 2 ივლისს იქნა მიღებული. გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „თუმცა ჩვენი დამოკიდებულება გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის მიმართ რომი—ბერლინი—ტოკიოს ღერძის სულისკვეთებით განისაზღვრება, ჩვენ ერთხანს არ ჩავერევით ამ ომში, მაგრამ საკუთარი ინიციატივით მივიღებთ ღონისძიებებს: ფარულად შევიარაღდებით სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისათვის. ამავე დროს ჩვენ განვაგრძობთ დიპლომატიურ მოლაპარაკების წარმოებას დიდი სიფრთხილით. თუ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის მიმდინარეობა იაპონიისათვის ხელსაყრელ ხასიათს მიიღებს, ჩვენ იარაღს ვიხმართ ჩრდილოეთის პრობლემათა გადასაწყვეტად".

ამ თათბირის გადაწყვეტილების შესასრულებლად შემუშავებულ იქნა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების საგანგებო საიდუმლო გეგმა, რომელიც დაშიფრული იყო „კანტოკუენის" სახელწოდებით (იაპონიის კვანტუნის არმიის განსაკუთრებული მანევრები).

მოწმემ—იაპონიის გენერალური შტაბის ოფიცერმა სეძიმამ აჩვენა, რომ 1941 წლის ზაფხულში იაპონიაში ფარულად მოხდა მობილიზაცია და კვანტუნის არმიის გასაძლიერებლად გაგზავნილ იქნა 300 ათასამდე კაცი.

წინააღმდეგობამ, რასაც გერმანიის ჯარებს საბჭოთა არმია უწევდა, ანგარიში აურია აგრესორებს და მათი გეგმები ჩაფუშა. ამან იაპონიის მთავრობის შეშფოთება გამოიწვია და მან პრეტენზიები განუცხადა გერმანიას.

აი ოსიმას ჩვენება: „1941 წლის დაახლოებით ივლისის დამლევსა და აგვისტოს დამდეგს მე შევიტყე, რომ შენელდა გერმანიის არმიის შეტევის ტემპი... მოსკოვი და ლენინგრადი გერმანელებმა ვერ აიღეს გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. ამის გამო მე ახსნა-განმარტებისათვის მივმართე რიბენტროპს. მან ახსნა-განმარტების მოსაცემად მოიწვია კაიტელი, რომელმაც მიამბო, რომ გერმანიის არმიის შეტევის ტემპის შენელება გამოწვეულია კომუნიკაციების დიდი გაჭიმულობით და ზურგის ნაწილებისა და დაწესებულებების უკან დარჩენით, და რომ ამასთან დაკავშირებით შეტევის ტემპი დაახლოებით სამი კვირით შენელდება".

1941 წლის 4 სექტემბრის დეპეშით ოტმა ბერლინს აცნობა: „იმ წინააღმდეგობის გამო, რასაც რუსეთის არმია ისეთ არმიას უწევს, როგორიც გერმანულია, იაპონიის გენერალურ შტაბს, როგორც სჩანს, არა სჯერა, რომ შესძლებს გადამწყვეტ წარმატებათა მიღწევას რუსეთთან ბრძოლაში ზამთრის დადგომამდე. იმპერატორის მთავარბანაკმა უკანასკნელ დღეებში გადასწყვიტა დროებით გადასდოს მოქმედება სსრ კავშირის წინააღმდეგ"

გავიდა გერმანელ ფელდმარშალ კაიტელის მიერ დაპირებული სამი კვირაც და მეტიც, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლებოდა.

1941 წლის 4 ოქტომბერს ბერლინს გაგზავნილ დეპეშაში ოტი იუწყებოდა: „იაპონიის საომარ მოქმედებას საბრძოლო მხრივ ჯერ კიდევ ძლიერი შორეულ აღმოსავლეთის არმიის წინააღმდეგ მომავალ გაზაფხულზე ადრე არ უნდა მოველოდეთ... შეუპოვრობა, რომელიც სსრ კავშირმა გერმანიასთან ბრძოლაში გამოიჩინა, გვაფიქრებინებს, რომ იაპონიის თავდასხმა, იგი რომ აგვისტოში ან სექტემბერში დაიწყოს, მიმდინარე წელს ვერ გახსნიდა ციმბირზე მიმავალ გზას".

1941 წლის 17 ნოემბერს ბერლინს გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნულია, რომ საჭირო გახდება სსრ კავშირის წინააღმდეგ იაპონიის საომარი მოქმედების გადადება გაზაფხულამდე.

მაგრამ ომისათვის მზადება არ სწყდებოდა.

1942 წელს იაპონიის გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის ახალი შეტევითი გეგმა, რომელიც 1944 წლის გაზაფხულამდე არ შეცვლილა. მისი შინაარსის შესახებ ჩვენება მისცა მოწმემ—გენერალური შტაბის ოფიცერმა სეძიმამ: „სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის როგორც ყველა წინა გეგმა, ისე 1942 წლის გეგმაც შეტევითი იყო. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი უეცრად უნდა დაწყებულიყო.

ეს გეგმა ითვალისწინებდა 30-მდე დივიზიის თავმოყრას მანჯურიაში".

თავდასხმისათვის ასეთი მზადყოფნის დროს, თუ მის სამხედრო მხარეზე ვილაპარაკებთ, საქმე ბრძანების გაცემა-ღა იყო. მაგრამ სიტუაცია, რომელსაც იაპონიის მთავრობა ელოდებოდა, კვლავ აშკარად არახელსაყრელი რჩებოდა 1942 წელსაც.

არც 1943 წელმა მოიტანა გერმანიისა და იაპონიისათვის სასურველი ცვლილება საომარ ვითარებაში. 1944 წელიც, 1945 წელზე რომ აღარა ვთქვათ რა, კიდევ უფრო ნაკლებ ხელსაყრელი იყო სსრ კავშირზე იაპონიის თავდასხმისათვის. 1945 წელს ჰიტლერული გერმანიის, ხოლო შემდეგ აგრეთვე იაპონიის განადგურებამ ბოლო მოუღო აგრესორთა შეთქმულებას.

თუმცა იაპონიამ ვერ შესძლო გამოსულიყო გერმანიის მხარეზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში, იგი გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის მთელ პერიოდში აქტიურ დახმარებას უწევდა გერმანიას იმით, რომ საბჭოთა არმიის ძალებს ბოჭავდა შორეულ აღმოსავლეთში.

ტოკიოში 1942 წლის 15 მაისს გაგზავნილ დეპეშაში რიბენტროპმა აღიარა, რომ საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვარზე იაპონიის ჯარების კონცენტრაციის თვით ფაქტი მდგომარეობას უმსუბუქებდა გერმანიას, „რამდენადაც რუსეთი, ყოველ შემთხვევაში, იძულებულია იყოლიოს ჯარები აღმოსავლეთ ციმბირში იაპონია-რუსეთის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად".

ამასთან ერთად, სსრ კავშირზე გერმანიის ვერაგული თავდასხმის პირველივე დღეებიდან იაპონიის მთავრობა გერმანიას ამარაგებდა დაზვერვის ცნობებით სსრ კავშირის სამეურნეო, პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ, რისთვისაც თავის სამხედრო და დიპლომატიურ აპარატს იყენებდა.

1941 წლის 15 ივლისის დეპეშით რიბენტროპმა ოტს დაავალა: „მადლობა გადაეცით იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს იაპონიის მოსკოველი ელჩის მიერ დეპეშით გადაცემული ანგარიშის გადმოგზავნისათვის. კარგი იქნებოდა,—ნათქვამია შემდეგ დეპეშაში,—თუ ჩვენ შემდეგშიც შეგვეძლებოდა მუდამ მიგვეღო ცნობები რუსეთიდან ასეთი გზით".

გერმანიისათვის დახმარების გაწევის მიზნით იაპონიის მთავრობა ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიდა საბჭოთა ნაოსნობას შორეულ აღმოსავლეთში; მან საბჭოთა გემებს აუკრძალა სარგებლობა ყველაზე უფრო უხიფათო სანგარის სრუტით. ამის შედეგად უფრო საშიში კორეის სრუტით გავლის დროს წყალქვეშა ნავებისაგან დაღუპნენ საბჭოთა გემები „ანგარსტროი", „კოლა", „ილმენი". გარდა ამისა, იაპონელი ხელისუფლები უკანონოდ აკავებდნენ საბჭოთა გემებს და მეკობრულ თავდასხმებს აწყობდნენ მათზე, რაც უკვე აგრესიის პირდაპირი აქტები იყო.

1941 წლის აგვისტოდან 1944 წლის ბოლომდე იაპონიის შეიარაღებულმა ძალებმა დააკავეს საბჭოთა 178 სავაჭრო გემი. მათ შორის სამის დაკავების დროს იარაღი იხმარეს.

1941 წლის დეკემბერში იაპონიის შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ საბჭოთა გემებს „კრეჩეტს", „სვირსტროის", „სერგეი ლაზოს" და „სიმფეროპოლს", რომლებიც სარემონტოდ იყვნენ ჰონკონგის ნავსადგურში. ამ გემებზე ნათლად მოსჩანდა საბჭოთა განმასხვავებელი ნიშნები და ალმები. მიუხედავად ამისა, ამ გემებს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს, რის შედეგადაც გემი „კრეჩეტი" ჩაიძირა, ხოლო გემები „სვირსტროი", „სერგეი ლაზო" და „სიმფეროპოლი" დაზიანდნენ, ქონება კი დატაცებულ იქნა.

ზუსტად გამორკვეულია, რომ სწორედ იაპონიის თვითმფრინავებმა 1941 წლის დეკემბერში იერიში მიიტანეს საბჭოთა გემებზე „პერეკოპსა" და „მაიკოპზე" და ჩასძირეს ისინი.

შემდეგ ამხ. ვასილიევმა დაახასიათა იაპონიის მილიტარისტული ხროვის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელთა დანაშაულებრივი საქმიანობა, როგორიც არიან იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტოძიო, იაპონიის გენერალური შტაბის უფროსი უმეძუ, ყოფილი მინისტრები და ელჩები არაკი, იტაგაკი, ხირანუმა, მინამი, სიგემიცუ, ხიროტა, ოსიმა, ხასიმოტო და ტოგო, რომლებიც მთავარ როლს ასრულებდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების მომზადებაში და ამისათვის ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

დასასრულ ამხ. ვასილიევმა განაცხადა, რომ იაპონიის მილიტარისტულმა ხროვამ, რომელსაც აგრესიული მოქმედებისათვის აქეზებდნენ ძაიბაცუს სახელწოდებით ცნობილი კაპიტალისტური მონოპოლიები, რომლებიც დაპყრობითი ომებით იყვნენ დაინტერესებული, თავის მოკავშირეებთან—ჰიტლერულ გერმანიასა და ფაშისტურ იტალიასთან ერთად მოაწყო საშინელი შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ და ამზადებდა ხალხთა დამონებასა და გაჟლეტას.

თავიანთი ურჯულო გეგმის განსახორციელებლად იაპონელმა მილიტარისტებმა გააჩაღეს მეორე მსოფლიო ომი და აუწერელი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს მსოფლიოს.

როცა გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი სწვავდნენ და ძარცვავდნენ საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებს, აწამებდნენ და ხოცავდნენ სსრ კავშირის დროებით ოკუპირებული რაიონების მოსახლეობას, ეს იყო შედეგი იმ საერთო შეთქმულების განხორციელებისა, რომლის მონაწილეებიც ბრალდებულები იყვნენ. ეს შესაძლებელი გახდა იმ დახმარების მეოხებით, რასაც იმპერიალისტური იაპონია ჰიტლერულ გერმანიას უწევდა.

„ამიტომ, ბატონო მოსამართლენო,—სთქვა ამხ. ვასილიევმა,—თქვენი გადაწყვეტილების მიღებისას არ შეგიძლიათ მხედველობაში არ მიიღოთ ის, რომ მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავეები თავიანთ დანაშაულობებს სჩადიოდნენ თავიანთ თანამონაწილეებთან ერთად ჰიტლერული ხროვიდან და რომ იმპერიალისტურმა იაპონიამ უნდა გაინაწილოს ჰიტლერული გერმანიის პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედებისათვის.

მილიონობით დაღუპული ბრძოლის ველებზე და წამებით დახოცილი ფაშისტურ დილეგებში; დაპყრობილ მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებში მოსპობილი მილიონობით ქალები, ბავშვები და მოხუცები; აგრესიული ომით გამოწვეული უდიდესი ნგრევის შედეგად მთელი მსოფლიოს ხალხთა მიერ ნახული მრავალმილიარდიანი ზარალი, ბარბაროსულად მოსპობილ კოლოსალურ კულტურულ და ისტორიულ ფასეულობათა დაღუპვა—ასეთია ანგარიში, რომელსაც კაცობრიობა უდგენს იმპერიალისტურ იაპონიას, ჰიტლერული გერმანიის თანამონაწილეს.

ხალხთა სასამართლომ უკვე გამოუტანა თავისი მსჯავრი მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეებს.

ახლა მთელი მსოფლიო მოელის თქვენს სამართლიან განაჩენს მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადამიანთა უდანაშაულოდ დაღვრილი ზღვა სისხლისათვის, იაპონელ მილიტარისტთა ბარბაროსული აგრესიის მილიონობით მსხვერპლისათვის.

თქვენი განაჩენი მრისხანე გაფრთხილება უნდა იყოს თვითეულისათვის, ვისაც აზრად მოუვა ახალი ომის ხანძრის დანთება".

---

*) იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ბ-ნ კერის დეპეშა და ამხ. ვ. კუზნეცოვის პასუხი

როგორც ჩვენს კორესპონდენტს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში აცნობეს, ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მდივან-ხაზინადარმა ბ-ნმა კერიმ დეპეშა გამოუგზავნა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვს მასთან შეხვედრის წინადადებით. 18 თებერვალს ამხ. კუზნეცოვმა უპასუხა ბ-ნ კერის, რომ თანახმაა შეხვდეს მას მოსკოვში. (საკდესი).

იტალიის პასუხი საბჭოთა კავშირის განცხადებაზე იტალიის ყოფილი კოლონიების შესახებ

18 თებერვლის ნოტით იტალიის საელჩომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა იტალიის მთავრობის პასუხი იტალიის ყოფილი კოლონიების შესახებ საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე. ამ ნოტაში ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობა მხურვალე მადლობას უძღვნის სსრ კავშირის მთავრობას მისი იმ ცნობის გამო, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავინდებურად იმ თვალსაზრისს ადგას, რომ იტალიის ყველა ყოფილი კოლონია აფრიკაში (ლიბია, ერიტრეა, იტალიის სომალი) სამეურვეოდ უნდა გადაეცეს იტალიას. (საკდესი).

ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა

ლონდონი, 18 თებერვალი. (საკდესი). ყველა ინგლისური გაზეთი აქვეყნებს ინგლისის მომარაგებისა და საავიაციო წარმოების მინისტრ სტრაუსის სიტყვას, რომელიც მან გუშინ ბირმინჰამში ცენტრალური საგრაფოების მეწარმეთა კრებაზე წარმოსთქვა. სტრაუსმა დაადასტურა, რომ მთავრობა აპირებს დაიცვას ის პრინციპი, რომ ფოლადის მისაღებად ავტომრეწველობის მეწარმეებმა თავიანთი პროდუქციის 75 პროცენტი საზღვარგარეთ უნდა გაიტანონ.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ბირმინჰამელი კორესპონდენტი კომენტარს უკეთებს სტრაუსის სიტყვას და სწერს: „მთავრობის პოლიტიკამ უკვე ის გამოიწვია, რომ ცენტრალური საგრაფოების დაახლოებით 5.000 მუშამ სამუშაო დაკარგა. სტრაუსის განცხადების მიხედვით მოსალოდნელია მრეწველობაში უმუშევრობის შემდგომი ზრდა. მრავალი მეწარმე, რომელნიც სპეციალურ ავტომანქანებს ამზადებენ, თავისი საექსპორტო მოდელების სუბსიდირებას ეწეოდა შინაბაზარზე გაყიდვით. ახლა, როდესაც მათ შინა ბაზარზე შეუძლიათ გაასაღონ გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 1/4-ი, ისინი ექსპორტის სუბსიდირების საშუალებას მოკლებული არიან. გარდა იმ მეწარმეებისა, რომლებიც ავტომობილებს ამზადებენ, ასობით მრეწველიც, რომელიც დამხმარე მოწყობილობას ამზადებს, აგრეთვე იძულებული გახდება შეამციროს მუშათა რიცხვი თავის საწარმოში. „დეილი ექსპრესის" სიტყვით, სპეციალური მოდელების დამამზადებელმა ფირმებმა, რომელთა საწარმოებში 20.000 მუშა მუშაობს, არსებობა უნდა შესწყვიტონ".

კურიოზული შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 19 თებერვალი. (საკდესი). მანჩესტერის ცირკში უბედური შემთხვევა მოხდა. 20 იანვარს წარმოდგენის დროს ბაგირმსვლელი ჯამბაზი 20 ფუტის სიმაღლიდან ჩავარდა გალიაში, რომელშიც ხუთი ლომი იყო. მწვრთნელმა ფიწლით გარეკა გალიიდან მხეცები, მაგრამ ერთ-ერთი ლომი გაექცა, ეცა ჯამბაზს და ხელი დაუსახიჩრა.

მეტად თავისებურად გამოეხმაურა ამ ამბავს ინგლისის პარლამენტის წევრი, ლეიბორისტი ქალი მენინგი. „საბრალო ცხოველების" ბედმა იგი იმდენად შეაშფოთა, რომ მან, როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ამას წინათ სპეციალური შეკითხვით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს ჩატერ იდს და მოითხოვა, რომ მწვრთნელის „თავდასხმის" შემდეგ ლომების მდგომარეობა გამოეკვლია „ორი პირუთვნელი ვეტერინარისაგან შემდგარ სპეციალურ კომისიას" და სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ცხოველთა დაცვის კანონის დარღვევაში.

უპასუხა რა შეკითხვაზე, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაწვრილებით მოახსენა თემთა პალატას ცირკში მომხდარი ამბის მთელი ვითარება და მენინგი დაარწმუნა იმაში, რომ ცხოველებს არაფერი არ ევნებათ.

პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში

ვაშინგტონი, 17 თებერვალი. (საკდესი). კითხვაზე, გადაეცემა თუ არა პრესას და როდის ტექსტი შეთანხმებისა, რაც დადებულია შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ ნაცისტთა დოკუმენტების გამოქვეყნების საკითხზე, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაკდერმოტმა აღნიშნა, რომ ორ მთავრობას შორის უთანხმოება წარმოიშვა შეთანხმების გამოქვეყნების საკითხზე და, მაშასადამე, იგი არ გამოქვეყნდება. (შეთანხმება ნაცისტთა დოკუმენტების გამოქვეყნებაზე თავდაპირველად დადებული იყო ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის, შემდეგ მას მიემხრო საფრანგეთი).

საომარი მოქმედება საბერძნეთში

ბელგრადი, 19 თებერვალი. (საკდესი). თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგურმა გუშინ გადასცა გაზეთ „ელეფთერი ელადის" ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 4 და 5 თებერვალს დემოკრატიული არმიის ნაწილებმა, რომლებიც რუმელის შტაბს ემორჩილებიან, გარღვევა მოახდინეს პარნასის სექტორში და ათენს 20 კილომეტრით მიუახლოვდნენ 6 თებერვალს ამავე შტაბის ნაწილებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და დაიკავეს დასახლებული პუნქტი პილი. წამოღებულია დიდძალი დავლა. იმავე დღეს დემოკრატიული არმიის რაზმი სოფელ სკურტაში შევიდა. რაზმის შესვლისას ჟანდარმერია და მონარქისტ-ფაშისტთა თავდაცვის რაზმის წევრები თავზარდაცემულნი გაიქცნენ.

8 თებერვალს დემოკრატიული არმიის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის იერიშები ტრია-პიგადის სიმაგრეთა ხაზზე.

9 თებერვალს დემოკრატიული არმიის ნაწილებმა, რომლებიც რუმელის შტაბს ექვემდებარებიან, ქალაქ კიფერონთან ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგის ძალებს, რომელთაც დიდძალი ტანკი და ავიაცია ეხმარებოდა. 4 საათის ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა და უკან დაიხია.

მენდელეევის საზოგადოებაში

კვირას, 22 თებერვალს, დღის 12 საათზე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34) შესდგება მენდელეევის სახელობის საკავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილების ზოგადი და გამოყენებითი ქიმიის სექტორების გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგი: ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვ. დ. გიოშვილი—ზოგიერთი ორგანული ნაერთების კრეკინგის მექანიზმის შესახებ; ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ქ. ი. არეშიძე.—ციკლოჰექსანოლის დეჰიდრატაცია გუმბრინით; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გ. შ. მიქელაძე.—სილიკოალუმინის ელექტროდნობა ტყიბულის ფიქალებიდან.

დისპუტი პიონერთა სასახლეში

კვირას, 22 თებერვალს, დღის 1 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურის კაბინეტი აწყობს დისპუტს კინო-ფილმ „აკაკის აკვანის" გამო.

თეატრებში

21 თებერვალს: ოპერისა და ბალეტის—„კარმენი"; რუსთაველის სახელობის—„სამშობლო"; მარჯანიშვილის სახელობის—„ვის ემორჩილება დრო"; გრიბოედოვის სახელობის——„ტარტიუფი"; მოზარდ მაყურებელთა ქართული—„მთის ბიჭები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მეუღლე ანდრო ხორბალაძე ძმით და დებით, ბიძა გაბრიელ ოჯახით იუწყებიან **ხონა ვლადიმერის ასულ რუხაძე-ხორბალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-II, 7 ს. გამოსვენება 22-II, 2 ს. ჯავახიშვილის, 4.

ცარო და გრიშა კოკაია შვილით ლალიათი იუწყებიან **დომიდე თომას-ძე ჯანჯღავას** გარდაცვალებას.

ქალთა 46-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან **ჩიტო ფილიმონის ასულ შომახიას** გარდაცვალებას.

ნიკოლოზ, გრიგოლ, ადამ გიორგის-ძე აბდუშელიშვილები იუწყებიან, რომ 22-II, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვასილ გიორგის-ძე აბდუშელიშვილის** პანაშვიდი.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის მუშაკები იუწყებიან **ნიკოლოზ გიორგის-ძე კარკუსოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-II სტალინირში.

მეუღლე ელენე გლურჯიძე, შვილი ნოდარ ოჯახით იუწყებიან **ალექსანდრე ივანეს-ძე გლურჯიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-II, 7 ს. გამოსვენება 22-II, 2 ს. გრიბოედოვის, 6.

ფარმაცევტული ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია და თანამშრომლები იუწყებიან **მერი გოდაბრელიძე-ჟუმბურიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ოლია, შვილები მარო, თინა სანოძეები, სიძე კიკაბიძე იუწყებიან **ენუქი სანოძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II, ქ. წულუკიძეში.

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს „ზოლოტოპროდსნაბის" თანამშრომლები იუწყებიან **ხონია ვლადიმერის ასულ რუხაძე-ხორბალაძის** გარდაცვალებას.

ნადია, ნინო და კოტე ვარდოსანიძეები იუწყებიან **დავით სიმონის-ძე გიორგაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-II სოფ. ცხესულორში.

მამა თეოფილე ოჯახით, დები მარიამ, კატო, ლუბა, ლიდა, მანია ოჯახებით იუწყებიან **გაიანე ფარცხალაძე-ჯოგლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-II, 8 ს. გამოსვენება 22-II, 2 ს. ნინოშვილის, 49.

ქალთა 34-ე და 48-ე საშუალო სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იუწყებიან **სიმონ გიტოს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას.

ილია და მანანა ლადიძეები იუწყებიან **დომიდე თომას-ძე ჯანჯღავას** გარდაცვალებას.

მეუღლე პორფილე, შვილები ვერა, ოლია, კატო, მარგარიტა, ვალიკო, ვანო, სიძეები ლადო, რუბენ ოჯახებით იუწყებიან **მაგდან მაქსიმეს ასულ ხუნდაძე-კოტრიკაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-II, 7 ს. გამოსვენება 22-II, 5 ს. გაბაშვილის, 6.

დედა მარიამ, დები ლუბა, ქეთევან ოჯახებით, ნადია და მარო იუწყებიან **ოლღა (ჩიტო) ფილიმონის ასულ შომახიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-II, 7 ს. გამოსვენება 22-II, 2 ს. ჭავჭავაძის, 9.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის არაორგანული და ანალიზური ქიმიის კათედრა იუწყება კათედრის ასისტენტ **ოლღა (ჩიტო) ფილიმონის ასულ შომახიას** გარდაცვალებას.

მეუღლე თადეოზ, შვილები შალვა, ვლადიმერ, ალექსანდრა, ნინო, ანა, ვერა ოჯახებით იუწყებიან **თეოდოსი გრიგოლის ასულ ჩაგუნავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-II, გამოსვენება 22-II, 3 ს. ბელინსკის, 2.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-06, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უე 00847